


გიორგი გველესიანი



პასეჟი კველი ალთქვის
ეკლესიაში

ივლიანე ჯავახიშვილის
ინსტიტუტის პუბლიკაციები

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ებრაელებს უკრაინის
უდიდესი დღეისა და წიგნების მწიგნობრობისა და წიგნების
განხილვისათვის. მისი მიზანია, რომელიც უკრაინის
ივლიანე ჯავახიშვილის ინსტიტუტის მიერ დაგეგმულია.
ეს ნაშრომი წინამდებარე ნაშრომის სწორედ ამ დი-
ტანში გამოქვეყნდება. მისი მიზანია, რომელიც უკრაინის
ლი ავტორის უკრაინის ებრაელების მიერ დაგეგმულია.
ეს ნაშრომი ეძღვნება ებრაელების უკრაინის სწორედ ამ დი-
ტანში გამოქვეყნდება. მისი მიზანია, რომელიც უკრაინის
ლი ავტორის უკრაინის ებრაელების მიერ დაგეგმულია.



კასეტი კველი ალექსის ეკლესიაში

ეს ნაშრომი ეძღვნება ებრაელების უკრაინის სწორედ ამ დი-
ტანში გამოქვეყნდება. მისი მიზანია, რომელიც უკრაინის
ლი ავტორის უკრაინის ებრაელების მიერ დაგეგმულია.
ეს ნაშრომი ეძღვნება ებრაელების უკრაინის სწორედ ამ დი-
ტანში გამოქვეყნდება. მისი მიზანია, რომელიც უკრაინის
ლი ავტორის უკრაინის ებრაელების მიერ დაგეგმულია.



ISBN: 978-9941-0-6447-1

თბილისი
2014

გიორგი გველესიანი თეოლოგიის მაგისტრი

კასეტი კველი ალთჰის ეკლესიაში

რედაქტორი – თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგი, ირაკლი ორუნიძე

ტექსტის კორექტორი ნინო პაპინაშვილი, ქეთევან ბურნაძე

კომპიუტერული მომსახურება – ვიქტორ დავითაშვილი

ტექნიკური რედაქტორი – ალექსი შოშიაშვილი

საავტორო უფლებები დაცულია და არ შეიძლება წიგნში არსებული მასალის რაიმე ფორმით გამოყენება, ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგს, ბატონ გიორგი გვახალიას

ISBN: 978-9941-0-6477-7

გამომცემლობა „ალილა“

წინათქმა

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ებრაელთა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულის, პასეჟის მნიშვნელობას. წიგნში განხილულია მისი დაარსებისა და აღსრულების წესი, რომელიც დროთა განმავლობაში იცვლებოდა, სწორედ ამ დინამიკის ანალიზია მოცემული თემა. პასეჟის დაარსება ძველი აღთქმის ერთ-ერთი საკვანძო ეპიზოდია და მამათა განმარტებით ქრისტიანული ზიარების წინასახეს წამოადგენს. ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ კუთხითაც დააინტერესებს მკითხველთა ფართო წრეს: ბიბლიური ისტორიით დაინტერესებულ პირებს და მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს. რამდენადაც ქრისტიანული მსხვერპლშეწირვის საკითხი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია.

**წიგნი ეძღვნება საქართველოსა და ისრაელის
ოცდაექვს საუკუნოვან მეგობრობას.**

უმსაგალი

პასექი ისრაელიანთა დღესასწაულია, რომელიც დაწესდა რჩეული ხალხის ეგვიპტის მონობისგან გათავისუფლების აღსანიშნავად. ღმერთმა წინასწარმეტყველ მოსეს დაავალა ისრაელიანთა წინამძღოლობა და, ამავდროულად, პასექის საიდუმლოს დადგენა, რომელსაც განსაზღვრული წესები ჰქონდა.

ჩვენთვის, ქრისტიანთათვის, მნიშვნელოვანია პასექის რიტუალის გააზრება, როგორც ძველი, ასევე ახალდათქმისეული მოძღვრების შესამეცნებლად. თავად მაცხოვარმა ბრძანა, რომ უნდა აღესრულებინა ძველი რჯული, რაც მიცემული ჰქონდათ ისრაელიანებს (მათ. 5:17). იესო ქრისტემ კი ჭეშმარიტად დაიცვა რჯულის მოთხოვნები: 8 დღისას მას წინადაცვითეს და სახელი დაარქვეს – იესო (ებრ. იეჰოშუა) (ლუკ. 2:21). ებრაული სახელი იეჰოშუა ქართულად ითარგმნება როგორც იაჰვე მხსნელია¹, 12 წლისა მიიყვანეს ტაძარში (ლუკ. 2:42). თანამედროვეობაშიც ამ ასაკში ხდებიან იუდეველნი რჯულის დამცველნი. ქრისტე აღნიშნავდა ასევე კარვობის (სუქოთის)² (იოან. 7:2) და პასექის (ფესახის) (მათ. 26:17-30) დღესასწაულებს. სწორედ იუდეველთა უმნიშვნელოვანეს დღესასწაულზე, პასექზე, დაწესდა ზიარების საიდუმლო. თუკი ისრაელიანთათვის პასექი ეგვიპტის მონობიდან გამოსვლის დღესასწაულია, ქრისტიანთათვის უფალთან თანაზიარება სულიერი ტყვეობისგან დამხსნელია.

დღესდღეისობით უმნიშვნელოვანესია, გავიაზროთ ისრაელიანთა ეს რიტუალი, რადგან იგი მაცხოვრის ვნებას, დაფვლასა და აღდგომას მოასწავებს. პასექი შეიძლება გახდეს

დამაკავშირებელი იუდეველებთან ურთიერთობაში, რადგან თანამედროვეობაში ბევრი ეთნიკურად ებრაელი აღიარებს პასექის რიტუალში ქრისტეზე წინასწარ უწყებას, თუმცა ებრაელთა გარკვეული ნაწილი უარყოფს ამ მოვლენას.

იესო ქრისტე ამქვეყნიური ცხოვრებისას პასექს თავისი ვნების წინასახედ აღასრულებდა. სწორედ ფესახის დღესასწაულზე ჯვარცმით გაცხადდა მისი, როგორც ჭეშმარიტი საპასექო კრავის, მისია. ამიტომაც, პასექის რიტუალში უნდა ვეძიოთ ჩვენი რწმენისთვის მახასიათებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რადგან მოსეს მიერ დაწესებულ დღესასწაულზე ქრისტემ თავი შესწირა კაცობრიობას, როგორც გამომხსნელმა კრავმა, და გაათავისუფლა იგი ცოდვის მონობისაგან.

თემაში განხილულია პასექის დღესასწაულის დაწესებისა და აღსრულების ისტორია, რომელიც ებრაელებისათვის დღემდე წმინდა რიტუალია. მართლმადიდებელი ერისათვის კი მნიშვნელოვანია ფესახის საიდუმლოს გაგება და შესწავლა, რადგან იგი წმინდა ევქარისტის საიდუმლოს დაწესების წინასახედ არის მიჩნეული. ასევე განხილულია ძველდათქმისეული პასექის ქრისტიანული სიმბოლოები და მათი მნიშვნელობა.

თემაში წარმოდგენილი საკითხის შესახებ, ძირითადად, ვიხელმძღვანელებთ სხვადასხვა ლიტერატურის დახმარებით: წმიდა წერილის, როგორც მცხეთური ხელნაწერის, ისე თანამედროვე რედაქციებით, ასევე „ახალი აღთქმის“ წმინდა გიორგი მთაწმინდელის თარგმანით, ალექსანდრე ლოპუხინის, წმინდა მამათა: ეფრემ ასურის, იოანე ოქროპირისა და კირილე ალექსანდრიელის განმარტებებით. გარდა ამისა,

მოვიძიეთ ინფორმაცია იუდაური სახელმძღვანელოებიდან და იოსებ ფლავიოსის ისტორიული ნაშრომიდან – „მოთხრობანი იუდაეზიისა ძუელისსიტყუაობისანი“. ასევე გამოვიყენეთ სხვადასხვა ვიდეო-ლექცია პასექის შესახებ, მათ შორის აღსანიშნავია დევიდ ბრიკნერის „ქრისტე პასექში“.

ჩვენთვის, ქრისტიანთათვის, საჭირო და აუცილებელიც კია, ვიცოდეთ პასექის დღესასწაულის როგორც ისტორიული, ასევე სულიერი მნიშვნელობა, რადგან, უმთავრესად, იგი არა მარტო ებრაელებმა, არამედ სხვა ხალხმაც აღასრულა. რამდენადაც მართლმადიდებლური ეკლესიაა ღვთისაგან ნაუწყები ჭეშმარიტი სწავლების გამგრძელებელი, ამდენად, მან უნდა წარმოაჩინოს პასექის რიტუალის ქრისტიანული არსი მთელი სამყაროსთვის.

პასექის ეტიმოლოგია

პასექს (ფესახს), როგორც ამას შესავალში აღვნიშნავდით, უკავშირდება ეგვიპტის მონობისგან გათავისუფლების ისტორია, თუმცა საყურადღებოა, ჩავწვდეთ მის ეტიმოლოგიურ მნიშვნელობასაც. საქმე ისაა, რომ უძველესი ებრაული და ბერძნულენოვანი ბიბლიების შესაბამის მუხლებში განსხვავებული შინაარსის ზმნებს ვხვდებით. ებრაულ წმინდა წერილში გამოყენებული ტერმინი „ფესახი“ განიმარტება როგორც „გვერდის ავლა“ ან „გვერდის არიდება“, რაც ხაზს უსვამს ფაქტს, რომლის თანახმადაც, მშუსვრელმა ანგელოზმა გვერდი აარიდა კრავის სისხლით აღბეჭდილ საცხოვრებლებს და ღვთის სასჯელი ამ სახლებში მყოფთ არ შეჰხებიათ³. ამავე ვარაუდს ეთანხმება ინგლისური ბიბ-

ლია – „Pass over“⁴ („when I see the blood, I will pass over you and will not harm you“). ბერძნულენოვან ბიბლიაში კი იმავე ადგილზე გვხვდება ზმნა σκεπάω, რომლის ქართული შესატყვისია „დაცვა“, „გადაფარება“⁵.

ებრაული ტერმინი ფესახი განსხვავებული მნიშვნელობითაც განიმარტება. მაგალითად, შესაძლებელია იგი აღნიშნავდეს „კრავს“. ისრაელიანთა ცნობით, აქედან უნდა მომდინარეობდეს გამონათქვამი „კორბან ფესახ“, რაც ქართულად ითარგმნება როგორც „საზვარაკე კრავი“. თავად სიტყვა „კორბან“ ნიშნავს „ზვარაკს“, ანუ ღვთისადმი შესაწირავს.

„ფესახ“ ზმნის მსგავსებას ნახულობენ ებრაული ბიბლიის ტექსტში, ესაია წინასწარმეტყველთან: „როგორც ჩიტი ბარტყებს, ასე დაიფარავს ცაბაოთ უფალი იერუსალიმს“ (ეს. 31:5). ამ შემთხვევაში „დაიფარავს“ სიტყვა ჰგავს პასექის აღმნიშვნელ ზმნას ებრაულ დედანში. აქედან გამომდინარე, მის ერთ-ერთ მნიშვნელობად შეგვიძლია მივიჩნიოთ რამე საფრთხისაგან დახსნა⁶.

იოსებ ფლავიოსი წერდა: „აწ მერმეცა ჩუელებისაებრ ესრეთ ვამსხუერპლებთ დღესასწაულსა პასხად მწოდებელნი, ხოლო მოასწავებს ზედ-მოსვლასა, რამეთუ ღამესა მიერ ღმერთმან, ზედმავალმან მათმან, ეგვპტელთა მიუტევა სნეულება“⁷. I საუკუნის ისტორიკოსის, იოსებ ფლავიოსის, მიერ დამოწმებული ბერძნული ტერმინი „პასხა“ ნიშნავს ტანჯვას, ვნებას.

პროფესორი ედიშერ ჭელიძე იმოწმებს პროკოფი ღაზელის ცნობას და გვაუწყებს: „გადააბერძნულეს რა ეს სიტყვა ქრისტეს ვნების კვალობაზე, „პასხად“ გადააკეთეს

„ფასე“ (ამ სახით იმოწმებს „პასექს“ პროკოფი; იგივე ფორმა გვხვდება ლათინურ ბიბლიაშიც: phase).

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი თავის სიტყვაში – „წმინდა პასექის შესახებ“ – გვაუწყებდა: „ზოგიერთებმა მიიჩნიეს, რომ „ფასეკ“ არის მაცხოვრებელი ვნების აღმნიშვნელი ტერმინი და ამის შემდეგ მათ გადააბერძნულეს ეს სიტყვა (წმინდა გრიგოლი ებრაულ სიტყვას იმოწმებს „ფასეკ“-ის სახით)“⁸.

ხალხისათვის ებრაული ტერმინი „ფასეკ“ აღნიშნავდა „გადასვლას“, ეგვიპტის მონობისგან გათავისფურლებას და ქანაანის აღთქმული მიწისაკენ წასვლის ისტორიულ ფაქტს. დროთა განმავლობაში კი საზოგადოებისათვის უფრო მისაღები გახდა ამ სიტყვის ბერძნული ტერმინი და „ფ“ გადაკეთდა „პ“-დ, ხოლო „კ“ შეიცვალა „ხ“-დ (φάσεκ - Πάσχα). შეიცვალა რა თანხმოვნები, სიტყვის სახეცვლილებამ უფრო ცნობილი გახდა ტერმინი „პასხა“ („Πάσχα“), რადგანაც აღამიანისათვის უფრო გასაგები აღმოჩნდა ეს სიტყვა და ბევრმა გამომსწველი ტანჯვის აღმნიშვნელ ტერმინად აღიქვა იგი, ხოლო შეცვლილი სიტყვისადმი მიჩვევამ გამოიწვია მისი ხშირი გამოყენება, რადგან კეთილხმოვანების მქონე ხალხის სასმენელს აამებდა⁹.

ამრიგად, ტერმინი პასექს მრავალი განმარტება და განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. უმთავრესად, მასში გამოხსნის საიდუმლო იგულისხმება. ვინაიდან პასექის აღსრულებისას მმუსვრელმა ანგელოზმა გვერდი აუარა კრავის სისხლით ნაცხებ სახლებს, ტერმინი ფესახში მაცხოვრის ვნებითა და სიკვდილით მორწმუნეთა ცოდვის მონობისგან გათავისუფლების სახე-სიმბოლო უნდა განვჭვრიტოთ.

„პასექის“ ტერმინოლოგიური ექვივალენტები წმინდა წიგნის ქართულ რედაქციაში

პროფესორი ედიშერ ჭელიძე „შუშანიკის წამების“ („წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა“) ტექსტის ანალიზისას განმარტავს ტერმინ „აღსების“ მნიშვნელობას. მკვლევარი გვაუწყებს, რომ ქართულ ენაში ბერძნულ სახელწოდება „პასხას“ (რომელიც ტერმინოლოგიურად იდენტურია „აღსებისა“) მრავალი ეკვივალენტი მოეპოვება როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში, ესენია:

ძველი აღთქმა:

1. „პასექი“ (გამ. 12:11... რიცხ. 9:4... ის. ნავ. 5:10; II სჯ. 16:2; ნეშტ. 30:1...);
2. „პასქად“ (რიცხ. 9:6; 28:16; II სჯ. 16:1; 16:5...);
3. „ზატიკი“ (გამ. 12:11... რიცხ. 28:16... ის. ნავ. 5:10...);
4. „ვნებად“ (რიცხ. 9:2; 9:4...);
5. „ვნებათად“ (გამ. 34:25);
6. „მსხუერპლი“ (II სჯ. 16:2);
7. „საკლველი“ (II სჯ. 16:5);
8. „პასექი... ზატიკი“ (ლევ. 23:5);
9. „ზატიკი პასექისად“ (IV მეფ. 23:21);
10. „დღესასწაული“ (II სჯ. 16:1);

ახალი აღთქმა:

1. „პასექი“ (მრ. 14:14; ლ. 2:41...);
2. „პასქად“ (მათ. 26:19; მრ. 14:1; 14:12...);
3. „ზატიკი“ (მათ. 26:2; მრ. 14:12; ლ. 2:41; იოან. 11:55) („ზატიკი“ ებრაელთა პასექის აღმნიშვნელად გვხვდება „საქმე მოციქულთაში“- 12:4);
4. „ენებად“ (მათ. 26:2... მრ. 14:1 („პასქად რომელ არს ენებად“); ლ. 2:41; იოან. 11:55);
5. „ენებათად“ (მრ. 14:1...);
6. „დღესასწაული“ (იოან. 18:39).

აღნიშნული ტერმინებიდან „პასექი“ ნაწილობრივ ებრაული ფორმით დაცული სიტყვაა, „პასქად“ – იგივე სიტყვაა ბერძნული ფორმით; „ზატიკი“ ბერძნული პასხა-ს სომხური შესატყვისია და, შესაბამისად, სომხურიდანაა შემოსული ქართულში. იგი თავდაპირველად აღნიშნავდა, ერთი მხრივ, იუდაურ პასექს, რაც ყოველთვის დიდ მარხვაში უწევს, მეორე მხრივ კი – თავად მაცხოვარს, ჩვენთვის ზატიკად ან პასექად (შესაწირავ კრავად) დაკლულს ენების შვიდეულში¹⁰. „ენებად“ და „ენებათად“ უნდა წარმოადგენდეს „პასხას“ ბერძნულ სიტყვად გაგების საფუძველზე აღმოცენებულ ტერმინებს (ბერძნ. ზმნა „პასხო“ ნიშნავს „ენებას“, „ტანჯვას“); „მხვერპლი“ და „საკლველი“ გამომდინარეობს პასექის მსხვერპლშეწირვითი მნიშვნელობიდან (ძველ აღთქმაში პასხა-პასექი ეწოდებოდა არა მხოლოდ დღესასწაულს, არამედ შესაწირავ ბატკანსაც). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ პასექის დღესასწაული მსხვერპლის გაგებითაც იქნა ნათარგმნი. „ზატიკი პასექისად“ – ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორი იდენტური ტერმინის დაწყვილებასთან¹¹.

კატომ და ზისტვის დანაკსლა პასექი

პასექის დაწესებას უკავშირდებოდა საკუთრივ ეგვიპტეზე აღსრულებული მე-10 სასჯელის წინარე მოვლენები, ვინაიდან ფარაონზე არ იმოქმედა წინა ცხრა ღვთიურმა განაჩენმა: მდინარეებში წყლის სისხლად გადაქცევა (გამ. 7:20), გომბეშოების მომრავლება (გამ. 8:6), ჰაერის მუშლით ავსება (გამ. 8:17), ძაღლის მწერების მიერ ეგვიპტელების დაკბენა (გამ. 8:24), ჭირის გავრცელება (გამ. 9:6), ფაქლის¹² წყლულება (გამ. 9:10), ცეცხლოვანი სეტყვა (გამ. 9:23-25), კალიების მომრავლება (გამ. 10:14) და ეგვიპტის სამი დღით დაბნელება (გამ. 10:22). მე-10 სასჯელი, ადრინდელთან შედარებით, ყველაზე სასტიკი უნდა ყოფილიყო: თითოეული ეგვიპტელის სახლში უნდა მომკვდარიყო პირმშო. ყველას ოჯახში იქნებოდა დიდი გლოვა, სწორედ ისეთი, როგორც ჰქონდათ ისრაელიანებს, როდესაც ებრაელ ყრმებს ყრიდნენ მდინარეებში¹³. ამის შემდეგ კი სასტიკ მმართველს ისრაელიანები საბოლოოდ უნდა გაეშვა მონობიდან.

მე-10 სასჯელი წინარეთაგან განსხვავდებოდა იმით, რომ იგი არ იყო წარმავალი. ცხრა სასჯელმა ჩაიარა და დასრულდა, რამაც ისრაელიანთა სულიერი გარდაქმნა ვერ მოახდინა, მე-10 სასჯელი კი ამ უკანასკნელთა სულიერი ცხოვრების დასაბამი გახდა. რაც შეეხება ეგვიპტელებს, ბოლო სასჯელი უდიდესი სულიერი ტკივილის მომტანი იქნებოდა, რადგან თითოეულ ოჯახს მოუკვდებოდა პირმშო. ამგვარად ისჯებოდნენ ეგვიპტელები, რადგან არ შეისმინეს ჭემმარიტი ღმერთის მოწოდება და ნაცვლად ისრაელიანთა გათავისუფლებისა, პირიქით, ამძიმებდნენ მათ ყოფას.

ეგვიპტე წარმართული ქვეყანა იყო, რომლის მოსახლეობა ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალს – ფარაონს – მიიჩნევდა ღვთაებად; სწამდათ მრავალი ღმერთის არსებობა. ისინი იმედებს ამყარებდნენ სხვა ეგვიპტურ ცრულღვთაებებზეც, მაგალითად, ქალღმერთ ისიდაზე¹⁴, ოსირისის დასა და მეუღლეზე, რომელიც ითვლებოდა ბავშვთა მფარველად. მიუხედავად იმისა, რომ მოსე წინასწარმეტყველმა გააფრთხილა ფარაონი მოსალოდნელი უბედურების შესახებ, ხელმწიფემ მაინც არ შეისმინა მისი და, განმმარტებელთა ვარაუდით, ნაუწყები მოსალოდნელი განსაცდელების ფონზე მთავარ იმედად ყრმათა მფარველი ქალღმერთი ისიდა გაიხადა¹⁵. რა თქმა უნდა, ცრულღვთაება ვერ დაიცავდა ეგვიპტეს და მათს შვილებს უბედურებისაგან. ამ შემთხვევაში ახდა ღვთის მიერ ნაბრძანები: „აღვადგინო შური შურისძიებათა“ (გამ. 12:12).

სწორედ მე-10 სასჯელს რომ არიდებოდნენ, მორწმუნე ისრაელიანებმა და არა მხოლოდ მათ, არამედ მოსეს სიტყვის მორჩილმა სხვა ეროვნების ხალხმაც¹⁶, ღვთისაგან მიიღეს დადგენილება, აღესრულებინათ პასეკი.

პასეკის საიდუმლო დაწესდა ებრაული კალენდრით „ნისანის“ თვეში. წმინდა წერილის გარდა, ეს ისტორიული ცნობა მოგვაწოდა იოსებ ფლავიოსმაც. იგი თანხმობაშია ბიბლიურ თხრობასთან და გვაუწყებს, რომ „ნისანის“ თვეს შეესაბამებოდა ეგვიპტური „ფარმიოთის“ და მაკედონელთა (იგულისხმებიან ბერძნები) „ქსანთიკოს“ თვეები¹⁷.

იუდეველი ერის ისტორიაში პასეკის დღესასწაულის დაწესება ახალი ეპოქის დასაბამი გახდა: „თთუე ესე იყავნ თქუენდა თავად თთუეთა, თთუე პირველი – თთუეთა მათ

შინა წელიწადისათა“ (გამ. 12:2). წინასწარმეტყველ მოსესა და აარონს ღვთისაგან ეუწყათ, რომ ახალი იუდაური კალენდარი ნისანის თვით დაწყებულიყო, რაც, სამოქალაქო კალენდრის თანახმად, მეშვიდე თვეს უიგივდებოდა¹⁸. ღვთის რჩეულ ერს ახალი კალენდარული სისტემით უნდა დაეწყო განახლებული სულიერი ცხოვრება. ისინი არ უნდა ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი ეგვიპტურ უამთა აღრიცხვაზე.

ეგვიპტე, როგორც კერპთაყვანისმცემლობის წყვილადში ჩადირული სახელმწიფო, წმინდა წერილის თანახმად, ხშირად ბოროტების სიმბოლოდ აღიქმებოდა. ვინაიდან ისრაელიანებს რამდენიმე საუკუნის მანძილზე მოუწიათ ეგვიპტის მონობაში ყოფნა, წარმართობამ მათზე უმძიმესი გავლენა მოახდინა¹⁹.

ებრაულ ენაში მარტ-აპრილის თვის დასახელება „აბიბი“ (ნისანი) ნიშნავდა „თავთავთა თვეს“²⁰. ამ პერიოდში იღებდნენ მოსავალს. სწორედ ამ დროს უკავშირდება პასეკის დაწესება, რაც შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ღმერთი ისრაელიანებისაგან სიახლოვესა და ცოცხალ ურთიერთობას მოითხოვდა, რაც ერის ცხოვრებას სულიერ ნაყოფთა სიმრავლეს შესძენდა. ისრაელიანებმა ეგვიპტიდან გამოსვლით, ახალი კალენდრის შემოღებითა და ფესახის დაწესებით ზეგარდამო მტკიცებულება მიიღეს, რომ სწორედ ისინი არიან „რჩეული ხალხი“.

იუდეის სამეფოს დაცემისა და მოსახლეობის ბაბილონში გადასახლების შემდეგ ებრაული თვის განმსაზღვრელი ტერმინი „აბიბი“ ქალდეური ენის ზეგავლენით „ნისანით“ შეიცვალა. ბაბილონურ ენაზე აპრილის თვის ახალ დასახელებას ვხვდებით წმინდა წერილშიც: „ნისანის თვეში, ართახ-

შასთა მეფის მეოცე წელს, ღვინო იდგა მის წინ“ (ნემ. 2:1)... სიტყვა „ნისანი“ ნიშნავს ადრეულს ან დასაწყისს²¹. შესაბამისად, „ნისანმა“, ბაბილონურმა ტერმინმა, ებრაული „აბიბის“ მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად გაამყარა, რადგან, როგორც ზევითაც აღვნიშნავდით, ისრაელიანთათვის აბიბის თვე ახალი სულიერი ცხოვრების დასაბამი იყო.

პასეკის დღესასწაულით ებრაელ ხალხს უნდა გაეხსენებინა მონობიდან გამოსვლის როგორც ისტორიული, ისე რელიგიური მნიშვნელობა. ისრაელიანებს უნდა ხსომებოდათ თავიანთი ღვთივრჩეულობა: „იყვნეთ ჩემდა ერ საზებუროდ ყოველთაგან ნათესავთა, რამეთუ ჩემი არს ყოველი ქუეყანაჲ. ხოლო თქუენ იყვნეთ ჩემდა სამეუფოდ მღდელობად, ნათესავ წმიდა“ (გამ. 19:5-6). შთამომავლობა ვალდებული იყო, აღესრულებინა პასეკი, რომელიც დაწესდა და იქცა მათ ეროვნულ დღესასწაულად: „ეკრძალენით მცნებასა ამას, რამეთუ დღესა ამას გამოგიყუანებ თქუენ ქუეყანისა ამისგან ეგჳტელოთასა, და გეპყრან თქუენ დღე იგი თესლითი თესლადმდე თქუენდა შჯულოდ საუკუნოდ“ (გამ. 12:17). ყოველწლიურ სხვა დღესასწაულებს, რომლებიც მიმართული იყო რიგი მოვლენების აღსანიშნავად, ასევე რჯულით განწესებულ ლევიტელთა მსახურებებს წმინდა წერილში ეწოდებოდა „საუკუნო შჯული“. აუცილებელი იყო სანთლის ანთება საღამოდან განთიადამდე მოწმობის კარავთან (გამ. 27:21); სასულიერო პირს ღვთისმსახურებისას სამღვდელო სამოსით შემოსვა მოეთხოვებოდა (გამ. 28:43; 29:9); აღესრულებოდა განწმენდის შაბათი (ლევ. 16:29-34)... მაგრამ პასეკი ხსენებული დღეებისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ მხოლოდ იგი იწოდებოდა ღვთის დღესასწაულად²²: „რამეთუ დღესასწაული არს უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲ“

(გამ. 10:9). ფესახის რიტუალი თავისი მნიშვნელობით ბევრად აღემატებოდა ჩამოთვლილ მსახურებებს, რადგან იგი იუდეველი ერის ტყვეობისგან გათავისუფლებას უკავშირდებოდა და, ამავდროულად, მაცხოვრის მიერ კაცობრიობის ცოდვის მონობისგან გამოსხნის სახე-სიმბოლოს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომაც უნდა იყოს განპირობებული პასეკის სახელდება საუფლო დღესასწაულად. რჯულის დამცველებს ღვთისაგან დაევალათ, რომ თაობიდან თაობაში ედღესასწაულათ „ფესახი“ აღთქმულ მიწაზე.

მეტი თვალსაჩინოებისთვის გრიგორიანულ და ებრაულ კალენდრულ მონაცემებს პარალელურ სვეტებში წარმოვადგენთ, რომ მკითხველს, ერთი მხრივ, შესაძლებლობა ჰქონდეს ებრაული თვეების ჩამონათვალს გაეცნოს, მეორე მხრივ კი, ჩვენეული დროის აღრიცხვა შეუსაბამოს მას²³.

გრიგორიანული კალენდარი	ებრაული კალენდარი
მარტი-აპრილი	ნისანი
აპრილი-მაისი	იიარი
მაისი-ივნისი	სივანი
ივნისი-ივლისი	თამუზი
ივლისი-აგვისტო	აბი
აგვისტო-სექტემბერი	ელული
სექტემბერი-ოქტომბერი	თიშრი
ოქტომბერი-ნოემბერი	მარხეშვანი
ნოემბერი-დეკემბერი	კისლევი
დეკემბერი-იანვარი	ტებეტი
იანვარი-თებერვალი	შაბატი
თებერვალი-მარტი	ადარი

პასექის აღსასრულების წესი

(პრაქტიკული მხარე)

ძველი აღთქმის საღვთო ისტორია, უმეტესწილად, ისრაელიანთა შესახებ მოგვითხრობს. წმინდა წერილიდან ვიგებთ, რომ ეთნიკური იუდეველები ღვთისაგან რჩეულობას განიკუთვნებდნენ, რაც მათთვის რჯულის მიცემით დამოწმდა. პასექის დღესასწაულს ყოველთვის უდიდესი ადგილი ეკავა მორწმუნე იუდეველთა შორის და ფესახი, სულიერთან ერთად, ეროვნული დღესასწაულიც გახდა.

ისრაელიანთა ისტორია დაკავშირებულია პატრიარქ აბრაამის ცხოვრებასთან, რომელიც ჭეშმარიტების ძიების მიხეზით გამოეყო ქალდეველთა ურის მოსახლეობას (დაბ. 12:1). აქედან დაედო სათავე იუდეველთა მამამთავრების ისტორიას. იოსების აღზევებისას ისრაელიანთა წინამძღოლი, იაკობი, საკუთარი ოჯახის წევრებთან ერთად ეგვიპტეში გაემგზავრა (დაბ. 46:1), რითაც დაიწყო აბრაამისადმი გაცხადებული წინასწარმეტყველების აღსრულება, რომ მისი შთამომავალნი დამონებულნი იქნებოდნენ, მაგრამ ღმერთი დაიხსნიდა მათ მონობის სახლიდან (დაბ. 15:13-14). აღთქმულ მიწაზე ისრაელი ჩამოყალიბდა როგორც ერი და მათმა რიცხვმა ეგვიპტიდან გამოსვლისას, ბავშვებისა და ქალების გამოკლებით, 600 000-ს მიაღწია (გამ. 12:37).

სწორედ ამ ხალხის გამოსახსნელად დაწესდა ძველი აღთქმის ეკლესიაში პასექის დღესასწაული და მმუსვრელ ანგელოზს გადაურჩა ყველა, ვინც იგი აღასრულა.

წმინდა წერილი გვაუწყებს რიგ შემთხვევას, როცა უფალი საკუთარ ნებას უშუალოდ მოსეს უცხადებდა (გამ. 6:2, 29. 7:1, 11:1...), თუმცა მაშინ, როდესაც უნდა დაწესებულიყო

პასექი, ღმერთმა თავისი ნება გამოუცხადა აარონსაც, როგორც ძველი აღთქმის ეკლესიის მომავალ პირველ მღვდელმთავარს (გამ. 12:1). ამის შემდგომ ძმების მოვალეობა გახდა რჩეული ერის მომზადება პასექის აღსასრულებლად²⁴

ისრაელის მთელ საზოგადოებას ებრძანა აბიბის მე-10 დღეს მამის სახლზე თითოეულს თითო კრავი ან თიკანი დაეგულებინა დასაკლავად, მაგრამ, თუკი მცირე იყო სახლი, ტრაპეზის აღსასრულებლად შესაძლებელი იყო, სულადობის მიხედვით აეყვანათ კრავი, თუ ვის რამდენის ხმევა ძალუძდა (გამ. 12:3-5).

უფალმა პასექის აღსასრულებლად ებრაელებს გარკვეული წესები დაუდგინა: შესაწირავი კრავი ან თიკანი უნდა ყოფილიყო სალი, მამალი და აუცილებლად ერთწლიანი, რომელსაც აბიბის ათი რიცხვიდან თოთხმეტამდე გამოაცალკევებდნენ, შემდგომ კი უნდა დაეკლათ იგი სალამო ხანს. ხუთი დღის განმავლობაში მორწმუნე აკვირდებოდა, რომ შესაწირავ კრავს (თიკანს) არ ჰქონოდა რამე ნაკლი. კრავი მთლიანად უნდა შეჭმულიყო. თუკი რომელიმე ოჯახს დარჩებოდა შესაჭმელი ნაწილები, იგი უნდა დაეწვათ, ვინაიდან ეს იყო უფლისადმი მიძღვნილი მსხვერპლი და არ უნდა შებღალულიყო იგი, რადგან რჩეული ერის აღთქმული მიწისკენ გამგზავრების შემდეგ კრავის დარჩენილი ნაწილები შესაძლოა წინადაუცვეთელ ეგვიპტელებს შეურაცხეყოთ. ამასთანავე, ნარჩენები უნდა განადგურებულიყო, ვითარცა წმინდა მსხვერპლის ნაწილები. XI საუკუნის მოღვაწის, რაბინ რაშის, განმარტების თანახმად, ისრაელიანი ვალდებული იყო, ნამუსრევი დაეწვა არა დღესასწაულის დღეს, არამედ მომდევნო დღეს²⁵.

„საპასექო კრავი იკვლებოდა 14 რიცხვის საღამოს ან, ებრაულიდან ზუსტი თარგმანის მიხედვით, ორ საღამოს შორის. ეს დაკვლა სრულდებოდა იმ დროიდან, როცა მზე დასავლეთით იწყებდა გადახრას (ებრაულად პირველი საღამო) და გრძელდებოდა მანამ, სანამ იგი მთლიანად ჩავიდოდა (მეორე ანუ სხვა საღამო)“²⁶.

ღვთისაგან „წმინდა დღესასწაულად“ დაწესებული პასექით ისრაელი უშუალოდ სულიერ კავშირს ამყარებდა უფალთან. ეს არის როგორც ღვთივსულიერი, მისტიკური, ასევე ისტორიული მნიშვნელობის დღესასწაულიც.

პასექის საღამოს ერთდროულად ორი მოვლენა მოხდა: ეგვიპტელ პირველშობილთა მოკვდინება (როგორც ადამიანებისა, ისე პირუტყვების) და, უშუალოდ, პასექი. იმ დღესვე წინასწარმეტყველმა მოსემ და აარონმა ღვთისაგან მიიღეს ბრძანება, ისრაელის ყველა ოჯახს აღესრულებინა პასექის დღესასწაული, რათა მათ არ შექმნებოდათ მშუსვრელი ანგელოზის რისხვა. ამისათვის საჭირო იყო, დაკლული კრავის სისხლი ეცხოთ სახლის ორივე წირთხლსა და კარის თავზე, რაც ჯვრის სიმბოლოს ქმნიდა²⁷. ხოლო ვინც არ აღასრულებდა მოსესაგან ნაუწყებს და არ სცხებდა სისხლს შემოსასვლელ კარზე, დაიხვებოდა. სწორედ კრავის სისხლმა განასხვავა ურთიერთისგან ეგვიპტელები და ისრაელიანები. ღვთისადმი ურჩობის გამო ეგვიპტეში უამრავი ბავშვი და პირუტყვი დაიხოცა. სწორედ ამით დასრულდა უკანასკნელი სასჯელი, რის შემდეგაც მგლოვიარე ფარაონმა ებრაელები მონობისგან გაათავისუფლა.

კარის თავსა და წირთხლზე სისხლის ცხების შემდეგ ემზადებოდნენ საპასექო სუფრისათვის, რომ ცეცხლზე შემ-

წვარი ხორცი და ხმიადი შეეჭამათ, მიეყოლებინათ მწარე ბალახი²⁸. ისრაელიანს არ უნდა ეხმია ნახევრად შემწვარი და წყალში მოხარშული ხორცი, რადგან მოხარშვისთვის წყლის მომარაგება და სხვადასხვა სახის ჭურჭელი დასჭირდებოდა, ეს კი მას დააყოვნებდა. ამასთან, ასეთი ხორცის ხმევა გრძელ პერიოდს მოითხოვდა, რაც კვლავ დროსთან დაკავშირებულ დაბრკოლებას შექმნიდა. იუდეველებს იგი სრულად, შიგნეულითურთ, უნდა ეჭამათ. დილისთვის ხორცის დატოვება იკრძალებოდა, რადგან ამას განცხრომისა და ჭამა-სმის მოყვარე და ხარბი ადამიანების დაყოვნება შეეძლო მაშინ, როდესაც, ღვთისაგან განსაზღვრული წესის თანახმად, არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა²⁹. ეს რიტუალი უნდა ჩაეტარებინათ „ორ საღამოს შორის“, შესაბამისად, ისრაელიანებმა ეგვიპტიდან გამოსვლა აბიზის 15 რიცხვის დილას დაიწყეს, მას შემდეგ, რაც რჯულით დადგენილი განჩინება აღასრულეს.

გამოსვლათა წიგნში გადმოცემული უწყება: „ნუ შეჭამთ ნახევრადშემწვარს ან წყალში მოხარშულს“ (გამ. 12:9), არ ეწინააღმდეგებოდა მეორე რჯულის წიგნში ნათქვამს: „მოხარშე და ჭამე“ (II რჯ. 16:7). წმინდა წერილის მკვლევარ ა. ლოპუხინის მოსაზრებით, იმომბებს რა იგი ებრაულ ბიბლიას, რომელშიც გამოყენებულია სიტყვა „ბაშალ“ („**მოხარშე** და ჭამე“), აღნიშნული ტერმინი ნიშნავს არა მოხარშვას, არამედ მომზადებას და ამიტომ ერთნაირად შეიძლება მისი გამოყენება ცეცხლზე ცხობასთან და წყალში ხარშვასთან დაკავშირებითაც³⁰.

პურობისას ხალხის ჩაცმულობასაც მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს იყო მონობის სახლიდან გასვლისათვის მზადყ-

ოფნა, რის შემდეგაც ისინი შეუჩერებელ შორეულ მოგზაურობას იწყებდნენ და თავი მოწესრიგებული უნდა ჰქონოდათ, რადგან ტანსაცმლის არჩევისა და გამოცვლის დრო აღარ რჩებოდა. მათი სამოსის ატრიბუტებს შეადგენდა წელზე შემორტყმული სარტყელი, ფეხზე ჩაცმული სანდლები და ხელში დაჭერილი კვერთხი.

ღმერთმა უბრძანა: „და განვლო მე ქუეყანაჲ ეგვიპტელთა მას ღამესა და ვგუემო ყოველი პირმშოჲ კაციოვან მიპირუტყუადმდე“ (გამ. 12:12). განმმარტებელთა აზრით, მოხმობილი სიტყვების ფონზე, სასჯელის აღმსრულებელში შესაძლებელია ნაგულისხმები ყოფილიყო არა უშუალოდ ყოვლისშემძლე უფალი, არამედ მისი ბრძანების მორჩილი ანგელოზი, რომელიც მარადის აღასრულებდა უზენაესის ნებას.

კარებზე წასმული კრავის სისხლი შესაბამისი ოჯახის ხელშეუხებლობის გარანტი იყო (გამ.12:13). რაბინ რაშის განმარტების თანახმად, ისრაელიანების სახლებზე ნაცხები სისხლი იყო ნიშნად მათთვის „და იყოს სისხლი იგი თქუენდა აღსანიშნველად ზედა სახლებსა მას“ (გამ 12:13) და არა სხვათათვის. რაბინის აზრით, სისხლის ცხება კარებზე სახლის შიგნიდან ხდებოდა. რაც შეეხება „დამღუპველ სენს“, მისი მოსაზრებით, ეს იყო ეპიდემია. ისრაელიანის სახლს სენი არ მიეკარებოდა მაშინაც კი, თუ უცხოტომელი შევიდოდა მათთან, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ისრაელიანი იქნებოდა წინადაუცვეთელის საცხოვრებელში, მათთან ერთად ისიც დაიღუპებოდა³¹.

რჩეულ ხალხს ებრძანა, პასეჟი თაობიდან თაობაში ედღესასწაულა. ისრაელიანებს უნდა ხსომებოდათ უდიდესი

წყალობა, რაც ღმერთმა გამოიჩინა მათზე. ამგვარი ქმედებით კი ძველი აღთქმის ეკლესიაში დამყარდა რიტუალი, რომელიც ისრაელიანებს სულიერად აკავშირებდა თავიანთ ღმერთთან და აცალკევებდა სხვა წარმართული ჩვეულებებისაგან.

ისრაელიანებს ღმერთმა უბრძანა, რომ მათ შვიდი დღის განმავლობაში ეჭამათ ხმიადი (უფუარი პური). ვინც აღნიშნულ წესს დაარღვევდა, მოიკვეთებოდა ან სიკვდილით დაისჯებოდა. ხმიადის ჭამის დღესასწაული იწყებოდა აბიბის მეთხუთმეტე რიცხვიდან. ერთი კვირის განმავლობაში ისრაელიანებს უნდა ეჭამათ უფუარი კვრები, რასაც წმიდა წერილი „ხმიადობის დღესასწაულს“ უწოდებს (ლევ. 23:6)³². ებრაელებს, რომლებმაც პასეჟის აღნიშვნის შემდეგ ეგვიპტე დატოვეს, უარი უნდა ეთქვათ საფუარზე, როგორც მონობის ქვეყანაში დამზადებულ პროდუქტზე, ახალი სულიერი ცხოვრების დაწყების ნიშნად. წესის თანახმად, მორწმუნეებს საფუარის შემცველი ყველანაირი საკვები სახლიდან უნდა გაეტანათ.

დღესასწაულის პირველ და მეშვიდე დღეს ეწოდებოდა წმიდა წვეულება (გამ. 12:16). ეს დღეები, შაბათის დღის მსგავსად, უქმი იყო, რათა მორწმუნეებს ყოველდღიური საზრუნავი დაევიწყათ და ღმერთის სამსახურისთვის მიეძღვნათ თავი. მათ შეეძლოთ მხოლოდ აუცილებელი საჭიროებისთვის, კვებისთვის, ეზრუნათ. მეთოთხმეტე დღის საღამოდან (რაც იუდაური ტრადიციით, მეთხუთმეტე დღის დასაწყისად ითვლება) ოცდამეერთე დღის საღამომდე უნდა ეჭამათ ხმიადი. ღვთის ბრძანების დაცვა ევალებოდათ როგორც ებრაელებს, ასევე წინადაცვეთილ მღვდურებს.

მოსე წინასწარმეტყველმა უბრძანა ისრაელის უხუცესობას, რომ თითოეულ მათგანს ცხვარი საკუთარი საგვარეულოსათვის მოეყვანა და საპასეკო კრავი დაეკლა.

მსხვერპლშეწირვის შემდეგ ცხოველის სისხლს თასში აგროვებდნენ. ოჯახის უფროსი უსუპის³³ კონას სისხლში ამოავლებდა და კარის თავსა და ორივე წირთხლს სცხებდა. ა. ლოპუხინის განმარტებით, უსუპი ეგვიპტეში არ ხარობდა. წინასწარმეტყველს რომ პასეკის ღამეს გამოყენებული მცენარის სახელი მიეთითებინა, იუდეველთა მომდევნო თაობებისთვის გაუგებარი იქნებოდა, მცენარის რომელ სახეობაზე იყო საუბარი; ამიტომაც მოსემ ბიბლიის ტექსტში აღთქმულ ქვეყანაში ყველასთვის კარგად ნაცნობი უსუპი ახსენა³⁴.

ისრაელიანებს მოეთხოვებოდათ, რომ დიღამდე არ გასულიყვნენ სახლიდან, რადგან მათი გადარჩენის ერთადერთი პირობა კრავის სისხლით აღბეჭდილ საცხოვრებელში ყოფნა იყო. ამავდროულად, პასეკი სამარადისო წესად უნდა დაეცვათ მათ და მომდევნო თაობებსაც, რომ ხსომებოდათ უდიდესი წყალობა, რაც გამოიჩინა უფალმა თავისი რჩეული ხალხის გამოსახსნელად.

პასეკის აღსრულების ისტორიული განხილვა

„გამოსვლის“ წიგნის გარდა, წმინდა წერილის სხვა მნიშვნელოვან ადგილებშიც ვხვდებით უფლისაგან უწყებას პასეკის აღსრულების შესახებ.

„ლევიტელთა“ წიგნში აღწერილია პასეკის აღსრულების წესი სწორედ ისე, როგორც იყო ნაუწყები გამოსვლათა

წიგნში. ისრაელიანებს ევალებოდათ, დაეწყით დღესასწაულის აღნიშვნა აბიბის თვის მეოთხმეტე დღეს, საღამო ხანს. ხოლო მეოთხმეტე დღიდან, ერთი კვირის განმავლობაში, იყო „ხმიალობის დღესასწაული“ (ლევ. 23:6), რომლის დროსაც იკრძალებოდა საფუარიანი პურის მიღება. პირველ დღეს ბიბლია უწოდებს „წმიდა შეკრებულობას“ (ლევ. 23:7), ისე როგორც შაბათს (ლევ. 23:3). „წმიდა შეკრებულობაში“ შესაძლებელია სალოცავად წასვლა მოიაზრებოდა, როდესაც ჩვეულებრივთან შედარებით ორმაგი მსხვერპლშეწირვა ხდებოდა (რიცხვ. 28:9-10). დღესასწაულის ხასიათი გახლდათ: სიმშვიდე, დასვენება და წმინდა შეკრება³⁵. მორწმუნეს განესაზღვრა, რომ შვიდი დღის განმავლობაში შეეწირა მსხვერპლი, რადგანაც ისრაელიანი იკვებებოდა ხმიალით; ამ მიზეზით, ბიბლიაში პასეკი მრავალჯერ იწოდება „უფუარობის დღესასწაულად“.

ეგვიპტიდან გამოსვლის მეორე წლის პირველ თვეს უფალმა მოსეს განუცხადა, რომ ისრაელიანებს აღსრულებინათ პასეკი დათქმულ დროს ყველა წესის დაცვით (რიცხვ. 9:1-14). რჩეულმა ხალხმა ფესახი არაბეთში, სინაის უდაბნოში, იზეიმა. ებრაელებმა წინასწარმეტყველის სიტყვისამებრ მოიმოქმედეს ყველაფერი. თუმცა მათ შორის ისეთებიც აღმოჩნდნენ, ვინც გაუწმინდურებული იყვნენ მიცვალებულთან შეხებით და ვერ შეძლეს ფესახის აღსრულება. ასეთი ადამიანები აღიარებდნენ საკუთარ მდგომარეობას და ითხოვდნენ, მათაც ჰქონოდათ უფლება დღესასწაულის აღნიშვნისა. ხალხის ამგვარ ძლიერ სურვილს პასეკის, როგორც დღესასწაულის, აღნიშვნისას განაპირობებდა მისი საყოველთაობა და მათ არ სურდათ, გამოჰკლებოდნენ თანამემამ-

უღეებს. უფალმა მოსეს პირით გამოუცხადა მათ, რომ პასექს ერთი თვის შემდეგ, 14 რიცხვში, აღნიშნავდნენ, დაღამებისას, ზუსტად იმ წესების დაცვით, რაც გამოსვლათა წიგნში იყო აღწერილი. ასევე შეეძლოთ მოქცეულიყვნენ ის ისრაელიანები, რომლებიც წასული იყვნენ შორ გზაზე. ამგვარ შემთხვევას, პასექის ერთი თვით გვიან აღნიშვნას, ეწოდებოდა „მცირე პასექი“. თუ ისრაელიანი, საპატო მიზეზის გარეშე, არ მიიღებდა მონაწილეობას დღესასწაულში, თავისი ხალხისგან მოიკეუებოდა. ყველა წინადაცვეთილს, ქვეყნის მკვიდრი იქნებოდა იგი თუ მღვმური, პასექის აღნიშვნას რჯული ავაღდეულებდა (რიცხ. 9:14).

ისრაელიანთა უდაბნოში მოგზაურობისას ეს აღთქმული მიწის დაკავებამდე აღსრულებული ერთადერთი პასექი იყო, რადგან ბიბლია გვაუწყებს, რომ ორმოცწლიანი მოგზაურობისას ებრაელები წინადაცვეთის რიტუალს აღარ იცავდნენ, სანამ უფლისაგან აღთქმული მიწა არ დაიმკვიდრეს (ის. ნავ. 5:8,10). უდაბნოში მოგზაურობისას ახალშობილ ჩვილებს წინადაცვეთას არ უტარებდნენ, რადგან ეს ხალხის გადაადგილებას აფერხებდა. წმინდა წერილიდან ცნობილია, როცა ქალაქ შექემის მაცხოვრებლებმა წინადაცვეთის: „და იყო დღესა მესამესა, ვითარ იყვნეს ოდენ საღმობასა შინა. მოიღეს ძეთა იაკობისთა: სუმეონ და ლევი, ძმათა დინასთა, კაცად-კაცადმან მასჯლი თუსი და შევიდეს ქალაქად განკრძალულებით და მოსრეს ყოველივე მამაკაცი“ (დაბ. 34:25). ბიბლიიდან მოყვანილი ციტატა ნათლად ასახავს იმ ფაქტს, რომ წინადაცვეთის რიტუალის აღსრულების შემთხვევაში ისრაელიანების გადაადგილება შეფერხდებოდა, რადგან სამი დღე დასჭირდებოდათ ჭრილობების მოშუშებისთვის. ა.

ლოპუხინის განმარტებით, ორმოცწლიანი ხეტიალის მიზეზით ღმერთზე განრისხებული სრაელიანთა უფროსი თაობა აღარ აღასრულებდა წინადაცვეთას და აღარ ბეჭდავდნენ ისინი თავიანთ შვილებს აღთქმის ნიშნით³⁶. ისრაელის უფროსი თაობისაგან განსხვავებით, შვილების თაობას უნდა დაემტკიცებინა უფლისათვის, რომ ისინი იყვნენ ღირსნი აღთქმული მიწის დაკავებისა. ამიტომაც, სწორედ გილგალში მოხდა სულიერი კავშირის აღდგენა, რისთვისაც ისრაელი იყო მოწოდებული, და მრავალი წლის შემდეგ ისინი ღირსნი გახდნენ უფლისაგან შეპირებული ქვეყნის დამკვიდრებისა. ხსენებულმა თაობამ, როგორც მონობისაგან თავისუფალმა ხალხმა, წინადაცვეთის შემდეგ პასექის რიტუალი აღასრულა და აღთქმული მიწის დაკავებისთვის ბრძოლაში ჩაება (ის. ნავ. 6:1-27).

სანამ ისრაელიანები აღთქმულ მიწას დაიკავებდნენ, უფალმა წინასწარმეტყველ მოსეს კვლავ შთააგონა, ხალხს დაეცვა ის საუფლო დღესასწაულები, რაც მისგანვე იყო ნაკურთხი აღსასრულებლად. II რჯულის წიგნშიც ვხვდებით პასექის აღსრულების წესებს.

მოსემ იუდეველებს აბიბის თვეში პასექის აღსრულება უბრძანა, რათა ხალხს კვლავ გაეხსენებინა ეგვიპტიდან გამოსვლის დამე. გაზაფხული ბუნებისათვის განახლების პერიოდია, ხოლო ისრაელიანთათვის სულიერი ცხოვრების დასაწყისი უნდა ყოფილიყო. წინასწარმეტყველმა ხალხს მიუთითა, რომ მათ ღმერთისთვის წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვი იმ ადგილას დაეკლათ, რომელსაც უფალი თავისი სახელის დასავანებლად შეარჩევდა (II რჯ. 16:1-8). მეტიუ ჰენრი, მე-17 საუკუნეში მოღვაწე ბიბლიის მკვლ-

ევარი, მოცემულ უწყებას შემდეგნაირად განმარტავდა, რომ ისრაელიანი ვალდებული იყო, მიეყვანა პირუტყვი შესაწირავად. საპასეჟო მსხვერპლშეწირვა უნდა მომხდარიყო სამსხვერპლოსთან, კრავს დაკლავდა სასულიერო პირი მოწმობის კარვის ეზოში, ხოლო სისხლს ასხურებდა. რის შემდეგაც მორწმუნეს შეეძლო თავის საცხროვებელში წასულიყო³⁷.

სამსხვერპლო ცხოველებს რაბინი რაში მცირე და დიდ შესაწირავებად ყოფდა. თუკი კრავის მსხვერპლი არ იქნებოდა საკმარისი ყველასათვის, მასთან ერთად საჭირო ხდებოდა საქონლის შეწირვაც, რომელსაც თავდაპირველად იხმევდნენ, რათა პასეჟი დასანაყრებლად მიეღო ხალხს³⁸.

ძველი აღთქმის ეკლესიას ერის მაკონსოლიდირებელი ფუნქცია მიენიჭა. თუკი ეგვიპტეში პასეჟი თითოეული ოჯახისთვის ინდივიდუალურად აღესრულა, იმ შემთხვევაში, როდესაც დაიკავებდნენ ქანაანელთა ქვეყანას, ეს გახდებოდა ეროვნული დღესასწაული.

„არა შჭამო მას შინა მფუე, შვიდ დღე უფოველი პური შჭამო ჭირსა მას შინა, რამეთუ მსწრაფლ ღამე გამოსუედ ეგუპტით“... (II რჯ. 16:3). საგზლად მათ საფუარიანი პური არ გამოადგებოდათ, რამდენადაც, თუმცა საფუარი „სიცოცხლეს“ აძლევდა პურს, იგი მისი „სიკვდილის“ მიზეზიც იყო. ცოცხალი პური გზაში, ცხელი ჰავის პირობებში, გაიხრწნებოდა, „მოკვდებოდა“ და, როგორც ყოველი მკვდარი, უწმიდურის კატეგორიაში გადავიდოდა, საჭმელად უვარგისი შეიქნებოდა³⁹. აქედან გამომდინარე, მათ იმიტომ არ წაიღეს გზაზე საკვებად საფუარიანი პური, რომ, ხშიადისაგან განსხვავებით, გაუფუჭდებოდათ. აღნიშნული მიზეზით კი მათი საკვები ხშიადები შეიქნა. წმინდა წერილი მას „გაჭირვებ-

ის პურს“ უწოდებს, რადგან ხალხი ეგვიპტიდან ნახარევად გამოდიოდა. ამ შემთხვევაში პარალელი შეიძლება გავავლოთ სახარებისეულ ეპიზოდთან, როდესაც მაცხოვარი მიმართავდა მოციქულებს: „ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთადასა და სადუკეველთადასა“ (მათ. 16:6). უფალი მათ მიუთითებდა, მორიდებოდნენ იმ მოძღვრებას, რომელიც ფარისეველთა და სადუკეველთა წვალებიდან აღმოცენდებოდა (მათ. 16:12). სწორედ იმავეს თქმა შეიძლება ზემოხსენებულთან მიმართებითაც: როდესაც ისრაელი გამოდიოდა მონობიდან, იგი ვალდებული იყო, აღარ ესაზრდოვა ეგვიპტეში მოწვევული მოსავლით და უკუედლო წარმართული ქვეყნის ნაყოფი.

მოსეს ხუთწიგნეულში გადმოცემული იყო ცნობები მხოლოდ ძველი თაობის მიერ აღსრულებული პასეჟის შესახებ, თუმცა მათ ვერ დაიმკვიდრეს აღთქმული ქვეყანა: „რომელთა არა იციან კეთილი და ბოროტი, ყოველსა ჭაბუკსა უმეცარსა, ამათ მივსცე ქუეყანა იგი, ხოლო რომელთა განმარისხეს, არა იხილონ იგი“ (რიცხვ. 14:23). ღმერთმა დასაჯა ისინი თავიანთი ურჩობისა და ცოდვით დაცემის, კერპის აღმართვის გამო. ამ ხალხთან ერთად დაისაჯა მოსე და აარონი, ისინი ვერ შევიდნენ აღთქმულ მიწაზე. ებრაელი ხალხი კი აღთქმულ მიწაზე იესო ნავეს ძემ შეიყვანა.

განვლო რამდენიმე საუკუნემ და ერთიანი იუდაური სახელწიფო ორ დამოუკიდებელ (ისრაელისა და იუდას) სამეფოებად გაიყო (ძვ.წ.აღ. 929წ). უძძიმესი ვითარება სუფევდა ათი ტომისგან შემდგარ ისრაელის სამეფოში. კერძოდ „წმინდა წერილის მიერ უკეთურების დამნერგავ მეფედ სახელდებულმა ისრაელის პირველმა მმართველმა, იერობოამმა,

ქალაქებში - დანსა და ბეთილში, ორი ოქროს ხბოს კერპი აღმართა და შეეცადა, პოლიტიკურ საზღვართან ერთად რელიგიური ზღუდეც შემოეველო ისრაელისთვის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას, იერუსალიმის ტაძარში სიარულის შემთხვევაში, ერთიანი სამეფოს აღდგენის სურვილი არ გასჩენოდა. მან რეალობა შეაფასა და მიხვდა, რომ თუ ახლადდაარსებული სახელმწიფოს - ისრაელის - მკვიდრნი იაპვეს განსაღიღებლად მეზობელი იუდეის სამეფოს დედაქალაქში ივლიდნენ (ძველი აღთქმის რჯულის თანახმად, საეკლესიო მსახურება მხოლოდ იერუსალიმის ტაძარში აღესრულებოდა), შესაძლოა, ხალხში ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის სურვილს ეჩინა თავი. ამ შემთხვევაში კი ეფრემის ტომიდან გამოსული იერობოამი, იუდაურ საზოგადოებაში უდიდესი ავტორიტეტის მქონე, ღვთისაგან მეფობისთვის კურთხეული დავითის მოდემას ვერ შეეცილებოდა და, შესაბამისად, ხელისუფლებას დაკარგავდა. ამიტომაც მან მზაკრულ ხერხს მიმართა, დანსა და ბეთილში ოქროს ხბოს გამოსახულებები აღმართა და საზოგადოებას, შორეულ იერუსალიმში სიარულის წილ, რელიგიური მოთხოვნილებების ადგილზე დაკმაყოფილების პირობა შეუქმნა, თუმცა ისრაელის სამეფოში მცხოვრებმა ადამიანებმა მშვენივრად უწყოდნენ, რომ, მოსეს რჯულის მიხედვით (მცნებების თანახმად), ნებისმიერი კერპი იკრძალებოდა. ისრაელის პირველმა მეფემ აქაც ცბიერება გამოავლინა: მან ხსენებული ხბოს გამოსახულებები საზოგადოებას შესთავაზა არა როგორც კერპები (ამას, სავარაუდოდ, რიგითი მოსახლეობის მხრიდან დიდი მღელვარება მოჰყვებოდა), არამედ - ვითარცა იაპვეს ძალის, ძლიერების, ხილული გამოვლინება. აღნიშ-

ნულმა მოვლენამ ათი ტომისაგან შემდგარ საზოგადოებაზე უმძიმესი შედეგები იქონია - ისრაელის სამეფო, მასში არსებული გაუკუღმართებების მიზეზით, ძვ. წ. აღ.-ის 722 წელს ასურეთის იმპერიის თავდასხმის შედეგად აღიგავა პირისაგან მიწისა⁴⁰.

იუდეაშიც თითქმის ანალოგიური ვითარება იყო. ხალხმა ნელ-ნელა უკუბრუნდა ჭეშმარიტი ღვთისმსახურება. ბიბლია გვაუწყებს, რომ თანდათან იერუსალიმის ტაძარს ემატებოდა სხვადასხვა რელიგიისთვის დამახასიათებელი კერპები და მსახურების წესები. პირველად მეფე ახაზის (ქრ. შ.-მდე 735-722 წწ.) სახელს უკავშირდებოდა დამასკოში ნანახი წარმართული სამსხვერპლოს ანალოგიური შესაწირის მოწყობა იერუსალიმის ტაძარში, რამაც იუდეველთა დედაქალაქში დასაბამი დაუდო ჭეშმარიტი ღმერთისა და ასევე ცრულვთაებების ერთობლივ თაყვანისცემას (IV მეფ. 16:10-12). ასე რომ, შესაძლებელია ღვთის მიერ დადგენილი დღესასწაულების (მათ შორის პასექის) აღნიშვნა ტაძარში წარმართული კულტის მსახურებასთან ერთად ხდებოდა.

ახაზის შემდეგ გამეფდა 25 წლის ეზეკია (ხიზკიაჰუ - II ნეშტ. 29:1; ქრ. შ.-მდე 722-692 წწ.). იგი მთელი გულით ემსახურებოდა უფალს. მან გააუქმებინა ცალკეული მსახურებები, რათა რჯულის დამცველთათვის მხოლოდ იერუსალიმის ტაძარს ჰქონოდა უდიდესი მნიშვნელობა და მომავალში კერპთათვის არ ეცა თაყვანი ხალხს. მეორე ნეშტთა წიგნში დაწვრილებით არის აღწერილი ეზეკიას მოღვაწეობა, რომელმაც მღვდლებსა და ლევიანებს გააწმენდინა ტაძარი წარმართული კულტისაგან და ჭეშმარიტი მსახურება აღადგინა.

ეზეკიას უდიდესი სურვილი იყო, პასექის დღესასწაული ყველა იუდეველს ერთად გადაეხადა იერუსალიმში. მეფემ და მთავრებმა პასექის აღნიშვნა რჯულით დადგენილი ნისანის მომდევნო თვეს გადაწყვიტეს, რადგან ტაძრიდან გატანილი წარმართული ნივთების შეხებით სასულიერო პირები გაუწმინდურებულიყვნენ, ხოლო განწმენდას ვერ ასწრებდნენ. ამასთანავე, დიდი რაოდენებით ხალხიც ვერ მოახერხებდა პირველი თვისთვის ჩამოსვლას. მეფემ მალემსობოლების საშუალებით ყოფილ ისრაელის სამეფოშიც გაავრცელა ხმა, რომ ასურელთა გადასახლებას გადარჩენილი ებრაელები იერუსალიმში ჩამოსულიყვნენ და მათაც მიეღოთ მონაწილეობა საყოველთაო ზეიმში (II ნეშტ. 30:1).

მეორე თვეში (იიარში) უამრავი ადამიანი ჩამოვიდა პასექის აღსანიშნავად. მიუხედავად იმისა, რომ ეზეკიამ შემუსრა იერუსალიმში არსებული წარმართული სამსხვერპლოები, გარკვეული ნაწილი წმინდა ქალაქში მაინც შემორჩენილიყო, რის გამოც სამღვდელეობამ და ხალხმა კედრონის ხევში გაანადგურა ისინი. შესაბამისად, აღნიშნული ქმედების შედეგად გაუწმინდურებულ მღვდლებსა და ლევიანებს განწმენდა მოუწიათ და მხოლოდ ამის შემდგომ შეუდგნენ პასექისთვის მომზადებას (II ნეშტ. 30:15).

რჯულში არსებული დადგენილებების თანახმად, უწმინდურ სხეულთან, საგანთან, შეხების შედეგად გაუწმინდურებულად იწოდებოდა იუდეველი (II ნეშტ. 30:17-20). მოცემულ შემთხვევაშიც, წარმართული სამსხვერპლოების დამსხვრევის შემდეგ, მოსახლეობა გაუწმინდურებულად ითვლებოდა და, შესაბამისად, რჯულის მიხედვით უნდა განწმენდილიყო. მღვდლებმა მითითება აღასრულეს, თუმცა ხალხმა, მიუხე-

დავად განბანვის აუსრულებლობისა, მაინც იხმია პასექი. ამ ადამიანებისათვის მეფე ეზეკიამ ილოცა, რომ უფალს მიეტევებინა მათთვის და ღმერთმაც შეუნდო.

ეზეკიას საქციელში ჩანს, რომ მეფისთვის ისრაელიანთა შორის სულიერი ერთობის შენარჩუნება იყო უმთავრესი მიზანი. ამასთანავე, მან, თავისი გადაწყვეტილებით, ხალხი მოიხიდა და ეცადა, რომ შვიდი დღის განმავლობაში დღესასწაულის აღსრულებას მასშტაბური სახე ჰქონოდა. ღირსეულმა მეფემ საზეიმო დღეების განმავლობაში კრებულს 1000 კურატი და 7000 ცხვარი უბოძა, მთავრებმა კი 1000 კურატი და 9000 ცხვარი შესწირეს (II ნეშტ. 30:24). წმინდა წერილის თანახმად, ისეთი დიდი სიხარული სუფევდა იერუსალიმში, რომლის მსგავსიც სოლომონ მეფის დროიდან მოყოლებული აღარ ყოფილა.

პასექის დღესასწაულის ერთ-ერთი განსაკუთრებული აღნიშვნა იუდეველი მეფის – იოშიას (ძვ. წ. აღ.-ის 640-609 წწ.) სახელთან იყო დაკავშირებული. პირველი მნიშვნელოვანი საქმე, რაც ახალმა ხელისუფალმა აღასრულა, წარმართული საკერპოებისაგან იუდეის საყოველთაო განწმენდას უკავშირდებოდა. მან დაამსხვრევინა მანასეს მიერ იერუსალიმში აგებული ბაალისა და აშერას გამოსახულებები, მზისა და მთვარის პატივსაცემად ტაძარში განთავსებული სამსხვერპლოები და ხალხს საშუალება მისცა, სწორად აღესრულებინა პასექი. ასევე შეამუსვრინა მან ყოფილი ისრაელის სამეფოში არსებული კერპებიც.

ისრაელის პირველ მეფეს, იერობოამს, იოშიას გამეფება სამი საუკუნით ადრე ერთმა იუდეველმა წინასწარმეტყველმა აუწყა, როდესაც იერარქი მსხვერპლშეწირვას აღასრულებ-

და ბეთილში განთავსებული ხბოს კერპის წინაშე (III მეფ. 13:2).

იოშია პასექის აღსრულების წესს მკაცრად მიუდგა და ხალხისგან მღვდელმთავარ ხილკიას მიერ ტაძარში ახლად აღმოჩენილი რჯულის წიგნის შესაბამისად მოითხოვა ყველა მითითების დაცვა. „ყავთ ზატიკი პასექისა უფლისა ღმრთისა ჩუენისა: წერილ არს წიგნსა ამას სჯულისასა. და არა ყოფილ იყო ეგევითარი ზატიკი დღითგან მსაჯულთაით, რომელნი სჯიდეს ისრაჲლსა და ყოველთა დღეთა მეფეთა ისრაჲლისათა და მეფეთა იუდასთა, არამედ ვითარესე მეთურამეტესა წელსა მეფობასა იოსიასასა იყო ზატიკი იგი უფლისა იერუსალჲმს“ (IV მეფ. 23:21-23). წმინდა წერილი ღირსეულ მეფეს იუდეველ იერარქთა შორის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილს განუკუთვნებს, რადგან იგი მთელი გულით ემსახურებოდა შემოქმედს (IV მეფ. 23:22-23).

პასექის აღსრულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ისრაელიანთა ცხოვრებაში, რადგან ეს იყო დღესასწაული, რომელიც უშუალოდ ღმერთმა განუცხადა ისრაელს. ფესახის განვითარების უწყვეტი ქრონოლოგიური ჯაჭვი გაგრძელდა მთელი ძველი აღთქმის მანძილზე და მან არათუ დაკარგა მნიშვნელობა, არამედ სრულყოფა კპოვა ახალი აღთქმის ეკლესიაში, რასაც სათავე დაუდო თავად მაცხოვარმა, როცა მან საიდუმლო სერობისას აღასრულა ძველადღთქმისეული და დასაბამი დაუდო ახალადღთქმისეული პასექის საიდუმლოს.



პასექი თანამედროვე ეპოქაში

საპასექო სუფრაზე, „სედერზე“⁴¹, მორწმუნეს ევალება, ჩაუღრმავდეს ამ დღესასწაულს და თავი იგრძნოს ისე, თითქოს მონაწილეა ეგვიპტიდან გამოსვლისა.

პასექის რიტუალს დროთა განმავლობაში დაემატა სხვადასხვა დეტალი, რაც ემსახურება ეგვიპტეში აღსრულებული პირველი პასექის ხსოვნას. ქრისტეს დროსაც კი უკვე იყო დამატებული იმ საგანთა უმრავლესობა, რომლებიც თანამედროვე ფესახშიც იჩენს თავს. სადღესასწაულო რიტუალის აღსრულებისთვის იუდეველები იყენებენ:

1) მაცას (უფუარ პურს), რომელსაც ჩხვლეტენ და აცხობენ ღუმელში მაღალ ტემპერატურაზე. საჭიროა სამი განსაკუთრებული მაცა, რომლებსაც გაახვევენ ხელსახოცში და სედერის თავკაცთან ახლოს, საპასექო სუფრაზე, დებენ;

2) ღვინოს, რომელიც დამზადებული უნდა იყოს აუცილებლად ებრაელის მიერ⁴². პასექის დროს აუცილებლად უნდა ითქვას 4 სადღესასწაულო სადღეგრძელო;

3) მარორს – მწარე ბაღახს. იგი სიმბოლოა ებრაელთათვის ეგვიპტური მონობის სიმწარის გასახსენებლად. სედერისთვის შესაფერისი მარორი გახლავთ პირშუმსა⁴³, მაგრამ თუ ვერ მოხერხდება მისი მოძიება, ტრაპეზზე აუცილებლად უნდა იყოს ახალი მწარე მწვანილი;

4) ლანგარს სედერისათვის, რომელსაც ათავსებენ ტრაპეზის თავკაცის გვერდით. მასზე განლაგებულია:

ა) ზროა – ბარკალი, რომელიც სიმბოლოა ფესახის კრავის მსხვერპლისა, თუმცა თანამედროვეობაში ებრაელები იყენებენ ქათმის ხორცსაც⁴⁴;

ბ) ბეიჯი – მოხარული კვერცხი;

გ) ხაროსეთი – ვაშლის ღვინისა და დანაყული ნიგვზის ნაზავი;

დ) მარილიანი წყალი – განასახიერებს იმ ცრემლებს, რომლებსაც ებრაელთა წინაპრები მონობაში ღვრიდნენ;

ე) კარპასი – ოხრახუში, გამოხატავს იმ უსუპს, რომლითაც კარის თავსა და წირთხლებს კრავის სისხლს სცხებდნენ;

ვ) ხაზერეთი – გახეხილი პირშუშხა, რომელიც მარორთან ერთად მაცაზე მისაყოლებელი საჭმელია. გარდა ამისა, საჭიროა 2 სანთელი, რომელთაც დიასახლისი სედერის დაწებამდე ანთებს;

5) ჰაგადას (ისტორია), ილუსტრირებულ წიგნს, რომელშიც არის ყველა ის ლოცვა და რიტუალი, რაც დაკავშირებულია პასეკის დღესასწაულთან.

პასეკის დაწებების წინ აკრძალულია არა მარტო საფუარიანი საკვების ხმევა, არამედ მთლიანად სახლი უნდა გასუფთავდეს ხამეცისაგან. დღესასწაულის დადგომამდე კი იუდეველს მოეთხოვება, საფუარის დიდი მარაგი მიჰყიდოს არაებრაელს. პასეკის წინა დღეს დიასახლისი სახლის დალაგებას იწყებს, რომ საფუარის ნარჩენები ერთად განათავსოს. ამის შემდეგ საქმეში ოჯახის უფროსი ჩაებმება. იგი ეძებს დიასახლისის მიერ ერთად შეგროვებულ საფუარის ნამცეცებს. აღნიშნულ პროცესს „საფუარის მოძიება“ ეწოდება: საღამოს, როდესაც ცაზე პირველი ვარსკვლავები გამოჩნდება, ოჯახის უფროსი იღებს სანთელს, ბუმბულს, ხის კოვზს, ხელსახოცს და შეუდგება ძებნას. დიასახლისი ქმარს მოძიებულ საფუარს მისთვის ნაცნობ ადგილზე უტოვებს, რათა პოვნა გაუადვილდეს. ანთებული სანთლით ოჯახის უფრო-

სი შემოივლის ოთახებს. როდესაც აღმოაჩენს, ბუმბულით მოხვეტს ხამეცს ხის კოვზზე. საფუარზე ხელით შეხება არ შეიძლება, რადგან იგი ცოდვის სიმბოლოა. შემდეგ ათავსებს ხელსახოცში და სინაგოგასთან დანთებულ კოცონზე წვავს.

ხამეცისაგან საბოლოოდ გათავისუფლებულ სახლში ოჯახის წევრები სადღესასწაულო სამზადისს შეუდგებიან. პასეკი აღინიშნება სასაღილო მაგიდასთან. მამა, ოჯახის უფროსი, რიტუალის აღსრულებისას წამყვანი ფიგურაა. მას აცვია გრძელი თეთრი შესამოსელი, კვართი, რითაც ძველი აღთქმის ეკლესიის სამღვდელთა მსახურებას ატარებდნენ. ასევე მამა თავზე მიტრას ატარებს⁴⁵, რაც განასახიერებს გვირგვინს; თეთრი შესამოსელი აღნიშნავს სამღვდელოების სიწმინდეს, მამა კი ამ შემთხვევაში საკუთარი ოჯახისთვის სასულიერო პირად და წინამძღოლად მიიჩნევა.

სანამ შეუდგებიან პასეკის აღნიშვნას, დიასახლისი ანთებს სადღესასწაულო ორ სანთელს ტრაპეზზე და წარმოთქვამს ლოცვას: „კურთხეული ხარ, შენ, მბრძანებლო ჩვენო, სამყაროს მეუფეო, რომელმაც გაგვანათე შენი მცნებების აღმსრულებლნი და გვიბრძანე სადღესასწაულო სანთლების ანთება, ამენ“⁴⁶.

საპასეკო ტრაპეზზე, ოჯახის უფროსის გარდა, ყველა ერთმანეთს ემსახურება. სედერზე მიღებულია 4 ჭიქა ღვინის დაღვევა. შესმისას სადღესასწაულო სადღეგრძელოს მარცხენა ხელზე დაყრდნობით წარმოთქვამენ. ეგვიპტეში ხალხი ფეხზე მდგომარედ აღასრულებდა პასეკს, ხოლო თანამედროვეობაში მაგიდას უსხდებიან. ძველი აღმოსავლეთის კულტურაში მონა ფეხზე მდგომი იღებდა საკვებს, ახლა კი,

რადგანაც ღმერთმა ისრაელიანები მონობისგან გამოიხსნა, თავისუფლების ნიშნად მსხდომარენი იხმევენ პასექს⁴⁷.

სედერის ყველა მონაწილეს უვსებენ პირველ სასმისს, ხოლო მაცა ნაჭერში უნდა იყოს შეხვეული. ოჯახის უფროსი წევს ჭიქას და წარმოთქვამს ქიდუშის ტექსტს. ქიდუში ნიშნავს განწმენდას, ანუ ამ სასმისით იგი განწმენდს და ლოცავს პასექის ყველა მომდევნო ქმედებას. ლოცვის ტექსტი ასეთია: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, სამყაროს მეუფე, ვახის ნაყოფისაგან ღვინის შემქმნელო, ამენ“. შემდეგ ოჯახის უფროსს ხელბანვისთვის დოქით წყალსა და ხელსახოცს შემოუტანენ. მას წყალს ასხამენ ჯერ მარჯვენა, შემდეგ – მარცხენა ხელზე. ხელბანვა მოასწავებს დიდ სულიერ განწმენდას. ამის შემდეგ მწვანილს აიღებენ, ჩააწობენ მარილიან წყალში და დაურიგებენ სედერის ყველა მონაწილეს. ამ დროს ოჯახის უფროსი წარმოთქვამს ლოცვას: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, სამყაროს მეუფე, რომელმაც შექმენი მიწის ნაყოფი, ამენ“. შემდეგ ყველა ერთად შეეკცევა კარპასს (მწვანილი ან ბოსტნეული)⁴⁸, რაც ეგვიპტეში ისრაელიანთა მძიმე ცხოვრებისა და იქ დაღვრილი მათი ცრემლების სიმბოლოა.

ოჯახის უფროსი აიღებს მაცა-თაშს (მაცას ჩანთას) და მასში მოთავსებული 3 მაციდან შუათანას აცალკეებს, რომელსაც ტეხს ორ ნაწილად. მიღებული ორი ნაჭრიდან უფრო მცირეს აბრუნებს ჩანთაში, ხოლო მეორეს ახვევს აბრეშუმის ნაჭერში. ამ დროს ყველა ხუჭავს თვალებს და თავკაცი ტრაპეზის დასასრულამდე ნაჭერში გახვეულ ნაწილს გადამაღავს. ამ ნატეხს ეწოდება „חֲמֵץ אֱיִן“ (აფიკომენი), რაც ბერძნულიდან ნიშნავს „ის, რაც მოდის შემდ-

გე⁴⁹. ვერავინ ტოვებს სახლს მანამ, სანამ არ იპოვიან აფიკომენს. ტრაპეზის ბოლოს კი სედერის დასასრულის ნიშნად ერთად იხმევენ მას.

ტრაპეზის დროს ოჯახში ასაკით ყველაზე უმცროსი სედერის თავკაცს 4 ტრადიციულ შეკითხვას უსვამს:

1) რითი განსხვავდება ეს ღამე სხვა ღამეთაგან, რატომ არის დაშვებული საფუარიანის ჭამა ყველა ღამეს, ხოლო დღეს – მხოლოდ მაცის?

2) რატომ ვჭამთ სხვა ღამეებში სხვადასხვა მწვანილს, ხოლო დღეს – მხოლოდ მწარეს?

3) რატომ არ ვაწებთ ყველა ღამეს საჭმელს, ხოლო ამ ღამეს ორჯერ ვაწებთ (კარპასს მარილიან წყალში და მარორს ხაროსეთში)?

4) რატომ ვჭამთ დღეს ინახით მსხდომარენი, ხოლო სხვა დღეებში – არა⁵⁰?

კითხვებზე პასუხებს ოჯახის თავი გალობით წარმოთქვამს. იგი ოთხ შეკითხვას ოთხგზის პასუხობს:

1) დაწერილია, როცა ხალხმა დაიწყო ეგვიპტიდან გამოსვლა, ცომმა აფუება ვერ მოასწრო და ამიტომ მათ თან წაიღეს უფუარი პური;

2) მწარე იყო ჩვენი ყოფა ეგვიპტის მონობაში;

3) ცრემლებს ვღვრიდით, სანამ არ მოვიდა ჩვენი გათავისუფლების დრო;

4) ინახით ვსხედვართ, რადგან ახლა ჩვენ თავისუფალი აღამიანები ვართ⁵¹.

ოჯახის უფროსს ევალება, სედერის მონაწილეებს მოუთხროს არა მარტო გამოსვლის ისტორია, არამედ აბრაამიდან მოყოლებული ისრაელიანთა მთელი ცხოვრება.

ავსებენ მეორე ჭიქას და გალობით წარმოთქვამენ ლოცვას: „ეს იცავდა ჩვენს მამებს და ჩვენ, იმიტომ რომ არა მხოლოდ ერთი ფარაონი აღდგა ჩვენ წინააღმდეგ, არამედ ყველა თაობაში არიან მტრები, რათა დაგვღუპონ, მაგრამ ღმერთი ყოველთვის გადაგვარჩენს მათგან“⁵².

ჭიქებს მაგიდაზე დგამენ და აგრძელებენ ბიბლიურ თხრობას იაკობიდან მოყოლებული ეგვიპტეში, გესემის მხარეში, ისრაელის დასახლების დრომდე.

მეორე სასმისით ისარელიანები იხსენებენ ათ სასჯელს. მათი ჩამოთვლისას კი სედერის თავკაცი და სუფრის მონაწილეები თითო-თითო წვეთად აქცევენ ღვინოს ჭიქიდან თეფშზე. ღვინის წვეთებიან თეფშს ფრთხილად გაიტანენ, ღვრიან და ავსებენ ჭიქას. ამ ათი სასჯელის გახსენებით ებრაელები არა მარტო აღიდებენ ღმერთს, არამედ ხოტბას ასხამენ უფლის მათდამი განუსაზღვრელ სიყვარულს. ებრაულ ენაზე ისმის ტრადიციული სიმღერა „ayenu“, რაც ნიშნავს – „ay“ – საკმარისი, „enu“ – ჩვენთვის, ანუ „საკმარისი იქნებოდა ჩვენთვის“⁵³. გალობა შედგება 14 მუხლისაგან, რომლებშიც გადმოცემულია ღმერთისადმი ებრაელი ხალხის მადლიერება. პირველ მუხლში ნათქვამია: „რომ გამოვეყვანეთ ეგვიპტიდან, მაგრამ რომ არ განეგმირა ეგვიპტელები, ჩვენთვის ესეც საკმარისი იქნებოდა“⁵⁴. დანარჩენ საგალობლებშიც ისრაელიანები ემადლიერებიან ღმერთს მათდამი გამოჩენილი გულმოწყალების გამო, რაც მთავრდება მე-14 მუხლით: „რომ მივეყვანეთ ისრაელის მიწაზე, მაგრამ არ აეშენებინა თავისი რჩეული ტაძარი – ჩვენ ამასაც ვიკმარებდით“. ებრაული განმარტების თანახმად, ისრაელიანებისათვის საკმარისი იქნებოდა ეგვიპტიდან გათავისუფლება,

თუმცა ისინი ღმერთმა სხვა სულიერ საფეხურზე აიყვანა: განუწესა მათ შაბათის დაცვა, რჯულის მცნებების აღსრულება და მომავალში იერუსალიმში ტაძრის აგება⁵⁵.

საპასექო ტრაპეზის თავკაცი წევს მაცას და ყველას აჩვენებს. იგი ხალხს მოუთხრობს უფუარი პურის შესახებ, რომ მას დიდი სიმბოლური დატვირთვა აქვს, რომ ეს არის ეგვიპტიდან გამოსვლის სანაცვლოდ გაღებული მსხვერპლი, რათა მორწმუნეებს ახსოვდეთ ღვთის „ძლიერი ხელით“ აღსრულებული გამოსვლა. გარდა ამისა, მაცა არის უფლის ძლიერების სიმბოლო, აგრეთვე ეს არის გამოხატულება იმისა, რომ თითოეულმა ისრაელიანმა უარი უნდა თქვას საფუარზე, როგორც ეგვიპტის ქვეყნის მოსავალზე. სედერის თავკაცი პასექის მონაწილეებს საფუარიანი პურის ცოდვის სიმბოლოზე მოუთხრობს. შემდგომ იგი ესაუბრება მათ მარორის შესახებ. მწარე მცენარის მიღებას საფესახო სუფრაზე თავისი სიმბოლო გააჩნია. ეს არის გახსენება იმ სიმწარისა, რომელიც გამოიარა ისრაელმა მონობის სახლში, როცა აკეთებინებდნენ მათ თიხის აგურებს. ოჯახის უფროსი ამ შემთხვევაშიც ვაღდეებულია აუხსნას ტრაპეზის მონაწილეებს იმ სიმწარის არსი, რომელმაც შემდგომ მათ შეაგრძნობინა თავისუფლების ფასი. ამიტომ აუცილებელიც კია, რომ მათ ეს ცხოვრებისეული ტანჯვა ახსოვდეთ, რათა დატკბნენ სულიერი თავისუფლებით.

ამის შემდგომ მაცას ისევ ნაჭერში ახვევენ, წვევენ ღვინით სავსე ჭიქას და წარმოთქვამენ სამადლობელ ტექსტს (გალობას). ჭიქას ადგილზე დგამენ, მაცას აიღებენ და კითხულობენ 113-ე და 114-ე ფსალმუნებს, რომელთაც ეწოდება სადიდებელი, ანუ „ჰალელი“. გამოსვლის შესახებ თხრო-

ბის დამთავრებისას სვამენ მეორე ჭიქას ნიშნად ეგვიპტური მონობის დასასრულისა, კითხულობენ კურთხევის სიტყვებს; ბოლოს კი ხაზს უსვამენ 113-ე ფსალმუნში გადმოცემულ უმთავრეს აზრს, რომ იუდას შტო გახდა ღმერთის საწმინდარი (ფს. 113:2).

იუდას შტოს რჩეულობის შესახებ ებრაული გარდამოცემა გვაუწყებს, რომ სანამ მეწამული ზღვა გაიპობოდა, პირველი წყალში ნახშონ ბენ ამინადაბი (ნახშონი, ძე ამინადაბისა) შევიდა, რომელიც სწორედ იუდას შტოს წარმომადგენელი იყო და ამის გამო გახდნენ ისინი ღვთისაგან კურთხეულნი⁵⁶. საეკლესიო განმარტების თანახმად, იუდას გამორჩეულობა იმით აიხსნება, რომ ამ შტოდან განხორციელდა მაცხოვარი. ყოველი ახალი სასმისის შესმის წინ აუცილებელია, წარმოითქვას მოკლე ლოცვა: „კურთხეულ ხარ შენ, ჩვენო მბრძანებელო, სამყაროს მეუფეო, რომელმაც შექმენი ვაზის ნაყოფი“. ყოველი დამსწრე პასუხობს: „ამენ“ და მარცხენა ხელზე დაყრდნობით შესვამენ მეორე ჭიქას.

ამის შემდეგ ოჯახის უფროსი ვალდებულია, კვლავ განიბანოს ხელები, წარმოთქვას უფუარი პურის ლოცვა-კურთხევის ტექსტი და შეახსენოს ოჯახის წევრებს მაცის ჭამის შესრულების წესი. ოჯახის უფროსი სამი მაციდან, რომელიც მის წინ მაგიდაზე დევს, აიღებს ერთ მთელს და ერთ გატეხილს (ეს გახლავთ შუა მაცა, რომელიც გაიტეხა აფიკომენისთვის), შემდეგ წარმოთქვამს პურის კურთხევის ტექსტს და მარცხენა ხელზე დაყრდნობით მიირთმევს მთელი მაცის ნაჭერს, ხოლო გატეხილიდან თითოეულ დამსწრეს ურიგებს ორ-ორ ნატეხს. ყველა ვალდებულია, აიღოს მარორის ნაწილი, ჩააწოს „ხაროსეთში“ და როცა სედერის თავკაცი

წაიკითხავს კურთხევას, ყველა უპასუხებს: „ამენ“. შემდეგ მიირთმევენ მარცხენა ხელზე დაყრდნობის გარეშე. რაბინული განმარტების თანახმად, ადამიანისთვის საჭიროა, რომ დაინახოს არა მარტო შრომის სიმწარე, არამედ მოახლოებული ხსნის სიტკბოება. ხაროსეთში ჩაწობილი მარორი სიმბოლური დატვირთვით აღნიშნავს იმ სიმწარეს, რასაც ჩვენ ვიხმევთ ამა სოფელში და რასაც უფლისგან აღთქმული გადარჩენის შესახებ უწყება განაქარვებს⁵⁷.

მესამე, დარჩენილი მთელი მაციდან, თითოეულს ურიგდება ორ-ორი ნაჭერი, რომელთა შორისაც უნდა მოთავსდეს ხაზერეთი (გახეხილი მარორი) და მას მარცხენა ხელზე დაყრდნობით მიირთმევენ კურთხევის ტექსტის გარეშე. ისრაველიანები ამ წესის აღსრულებით გამოსვლის წიგნში ნაუწყებ მოვლენას თანაუხიარებიან: „იმავე ღამეს შეჭამონ ცეცხლზე შემწვარი ხორცი და ხმიადი; მწარე ბალახი შეატანონ“ (გამ. 12:8). ამის შემდეგ საფესახო თეფშს სუფრიდან გაიტანენ და შეექცევიან მოხარულ კვერცხს – „ხაგიგას“.

ებრაულ კულტურაში კვერცხი სიკვდილის სიმბოლოა. საპასექო სუფრაზე მისი შემოტანით 70 წელს ტიტეს მიერ იერუსალიმის ტაძრის დანგრევას იგონებენ და გლოვობენ⁵⁸.

საპასექო ტრაპეზის უკანასკნელ კერძს წარმოადგენს აფიკომენი. დამალულ აფიკომენს აძებნიან ბავშვს. პოვნის შემდეგ მიუტანენ სუფრის თავკაცს, რომელიც საჩუქარს მისცემს მას. ეს არის სედერის ბოლო კერძი, რომლის მიღებითაც სრულდება ტრაპეზი. თუკი ძველი აღთქმის ეკლესიაში პასექის უმთავრეს კერძად კრავის ხორცი მიიჩნეოდა, თანამედროვე იუდეველები მას საერთოდ არ იხმევენ, რად-

განაც აღარ აქვთ ტაძარი და მსხვერპლშეწირვა. ტრაპეზის თეფშზე სიმბოლურად დებენ ხორცს. კრავი აღარ იკვლება, რადგან აღნიშნულ პროცესს ტაძარში მღვდელი აღასრულებდა. იერუსალიმის ტაძრის დანგრევის შემდეგ კი იუდეველი ერის რელიგიურმა ცხოვრებამ მნიშვნელოვანი ლიტურგიკული ცვლილებები განიცადა: მათ აღარ ჰყავთ მღვდელმთავარი, არ გააჩნიათ ტაძარი, საუკუნეების მანძილზე არ არსებობდა იუდაური სახელმწიფო... შესაბამისად, კრავის საპასექო მნიშვნელობა, როგორც მსხვერპლშეწირვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, შეიცვალა.

აფიკომენის მიღების შემდგომ ავსებენ მესამე ჭიქას. იგი ეგვიპტის მონობისგან ებრაელთა დახსნას განასახიერებს. ეს სიმბოლოა კრავის იმ სისხლისა, რომელმაც ერი ფიზიკური განადგურებისაგან იხსნა. შემდეგ ამბობენ ოთხ კურთხევას. დამსწრენი თითოეულ მათგანს პასუხად აგებებენ „ამენს“ და საბოლოოდ, სვამენ მესამე ჭიქას ისე, როგორც ეს წინა სასმისებისას იყო აღწერილი.

მესამე სასმისის შემდეგ გალობით ან კითხვით წარმოითქმება „ჰალელის“ (სადიდებელი) ფსალმუნები: 115-ე, 116-ე, 117-ე, 118-ე, 136-ე, რასაც მოჰყვება კურთხევა და 103-ე და 35-ე ფსალმუნების 1-ლი მუხლები.

ჰალელის შემდეგ ავსებენ მეოთხე ჭიქას უფლის სადიდებლად და ამბობენ შესაბამის ლოცვას, რათა მომავალ წელს იერუსალიმში ერთად აღნიშნონ ფესახი.

ისრაელიანები მოელიან მაშიახის (მესიის) მოსვლასა და ტაძრის აღდგენას. იუდაური შეხედულებით, მესიის წინამორბედი წინასწამეტყველი, ვინც ხალხს მისი მოსვლის შესახებ უნდა აუწყოს ელია თეზბიტელია (მალ. 4:5). პასე-

ქის აღნიშვნისას სუფრაზე ცალკეა გამოყოფილი ადგილი, სადაც არავინ ჯდება. მაგიდის შუაგულში დგას ერთი სასმისი, რომლიდანაც არავინ სვამს. ეს სწორედ ელიასთვისაა განკუთვნილი. სუფრის დამსწრეები ალებენ კარს და ამბობენ: „კურთხეულია უფლის სახელით მომავალი“, ასევე კითხულობენ დავითის ფსალმუნებს: 79:6-7, 69:25 და იერემიას გოდებას: 3:66. მორწმუნე იუდეველები ელია წინასწარმეტყველს ცნობილ უძველეს ებრაულ საგალობელს უგალობენ: „ელია წინასწარმეტყველო, ელია თეზბიტელო, ელია მოდი ჩვენს დღეებში და მოიყვანე შენთან ერთად მესია, დავითის ძე“. ყოველ წელს მორწმუნე ებრაელები ელიას გამოცხადებას და მესიის მოსვლის თარიღის დასახელებას მოელიან⁵⁹.

თანამედროვეობაში პასექის აღნიშვნას უდიდესი დატვირთვა აქვს მორწმუნე იუდეველთათვის, რადგან ეს არის სულიერი სიახლოვე ეგვიპტეში პირველად აღსრულებულ ფესახთან და ასევე – მომავლის იმედი, რაც მდგომარეობს მესიის მოსვლასა და ტაძრის აღდგენაში. პასექის რიტუალში ისრაელიანთათვის მომავალი გამოხსნის საიდუმლო მოიაზრება, რაც მხოლოდ მაშინ დადგება, როდესაც ელია განუცხადებს მათ მესიის მოსვლის თარიღს. ჩვენ, ქრისტიანები, ვაღიარებთ, რომ ღვთისაგან აღთქმული გამოხსნა აღსრულებულია, რადგან იოანე ნათლისმცემელმა, ელიას სულით აღვსილმა, იქადაგა ქრისტეზე: „აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“ (იონ. 1:29) და ამით ახდა მალაქიას წინასწარმეტყველება, რომელმაც იოანეს მომავალი ელია უწოდა (მალ. 4:5), რადგან წინამორბედსაც და ელიასაც ერთი და იგივე მსახურება განეკუთვნათ:

ერთი (იოანე) წინამორბედი იყო მესიის პირველად მოსვლისა, ხოლო ელია მომავალი (მეორედ) მოსვლის წინასწარმაუწყებელი იქნება⁶⁰.

მაცხოვრის მიერ აღსრულებული პასეჟი

წმინდა წერილი მაცხოვრის ამქვეყნიური მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდს გვაუწყებს, მოციქულებთან ერთად აღსრულებულ ბოლო პასეჟს (ფესახი), რასაც ახალი აღთქმის ეკლესიის უდიდესი საიდუმლოს, ზიარების, დაწესება მოჰყვა. როგორც ცნობილია, დღესასწაულის პერიოდში მომლოცველები იერუსალიმში ჩადიოდნენ. ტაძარში უამრავი ხალხი იყრიდა თავს.

მახარებლები გვაუწყებენ, რომ იესო ქრისტემ საიდუმლო სერობის წინ პასეჟის დღესასწაული აღნიშნა და სრულყო რა ძველადღაღამისეული რიტუალი, სათავე დაუდო ახალს. მაცხოვარმა ზიარების საიდუმლო ძველი აღთქმის ეკლესიის დღესასწაულისას დააწესა (მათ. 26; ლუკ. 15 და ა.შ.). ახალ აღთქმაში ვხვდებით უწყებას საპასეჟო სასმისზე (ლუკ. 22:17) და ფსალმუნთა გალობაზე (მათ. 26:30), რომელნიც დღესასწაულის შემადგენელი ნაწილები გახლდათ. მაცხოვარმა მოციქულებთან ერთად პასეჟი აღნიშნა და საკუთარ მიმდევრებს უჩვენა სიმბოლური მნიშვნელობა იმისა, რომ, დღესასწაულის მეშვეობით, შესაძლებელია არა დროებითი, არამედ მარადიული გამოხსნა. სახარებიდან ვკითხულობთ: „მოიწინეს დღენი იგი უცომოებისანი, ოდეს ღირდა

პასეჟი იგი დაკლვად. და წარავლინნა პეტრე და იოვანე და პრქუა მათ: წარვედით და მომიმზადეთ ჩუენ პასეჟად, რათა ვგვამოთ“ (ლუკ. 22:7-8), თუმცა აღსანიშნავია, რომ, ლევიტელთა წიგნის თანახმად, I თვის მე-14 დღეს აღსრულებოდა მსახურება, რომელსაც პასეჟი ეწოდებოდა, ასევე – უფუარობა, რადგან ამ დღიდან უკვე აკრძალული იყო საფუარის მიღება, რასაც ბიბლია უწოდებს „საუფლო ხშიადობის დღესასწაულს“, რომლის დროსაც (7 დღის განმავლობაში) მხოლოდ ხშიადობის მიღება იყო ნებადართული (ლევ. 23:5-8), ანუ, პასეჟის დღესასწაულის შემდგომ, როცა 14-ში იხმევდნენ საპასეჟო კრავის ხორცს, მომდევნო დღიდან იწყებოდა უფუარობის დღესასწაული, რომელიც გრძელდებოდა 21 ნისანის ჩათვლით. ქრისტეს დროინდელ ისრაელში ტერმინები: პასეჟი და უფუარობის დღესასწაული სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენებოდა (მარკ. 14:1, ლუკ. 22:1), ხოლო ლევიტელთა წიგნში აშკარაა მათ შორის არსებული განსხვავება.

წმინდა იოანე ოქროპირი მათე მახარებლის უწყებას (მათ. 26:17) ამგვარად განმარტავდა: „მახარებელი უცომოების პირველ დღეს უფუარობის კვირეულის წინა დღეს უწოდებს, რამდენადაც იუდეველებს ჩვეულებად ჰქონდათ დღის საღამოდან ათვლა. მახარებელი ახსენებს იმ დღეს, რომლის საღამოსაც საჭირო იყო საპასეჟო კრავის დაკვლა, რამდენადაც მოციქულები მიეახლნენ იესოს კვირის მეხუთე დღეს. სწორედ ამ დღეს უწოდებს მათე მახარებელი უფუარობის დღესასწაულის წინა დღეს, როდესაც გვესაუბრება მოციქულთა მიერ მაცხოვართან მიახლების დროზე“⁶¹.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელიც იმოწმებდა წმიდა იოანე ოქროპირის ზემოხსენებულ განმარტებას და ისიც

ასევე მიიჩნევა, რომ დღე, რომელზეც საუბრობდა მოციქული, გახლდათ ხუთშაბათის საღამო: „უცომოების პირველ დღეს მახარებელი უცომოების წინა დღეს უწოდებს. წესით, პასექი მათ პარასკევ საღამოს უნდა ეჭამათ; ამიტომაც ეწოდებოდა მას დღე უცომოებისა. მაგრამ უფალი მოწაფეებს ხუთშაბათს გზავნის, რომელსაც მახარებელი უცომოების პირველ დღეს უწოდებს, რადგანაც იგი წინ უსწრებს პარასკევს, რომლის საღამოსაც ჩვეულებრივ ჭამდნენ უცომოებს“⁶².

მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე რუსმა მეცნიერმა, ბორის გლადკოვმა, საინტერესო ცნობები მოგვაწოდა პასექის აღსრულების დროსთან დაკავშირებით: „ახლოვდებოდა პასექის დღესასწაული, რომელიც დაწესდა ებრაელთა ეგვიპტის მონობისაგან გათავისუფლების მოსაგონებლად. რჯულის თანახმად (გამ. 12:2-20), მე-14 დღეს, გაზაფხულის პირველ მთვარიან თვეს, ნისანს, თითოეული ებრაული ოჯახი (ან ორი პატარა ოჯახი ერთად) ვალდებული იყო, ცეცხლზე შეეწვა ერთი წლის კრავი (ან თიკანი) და იმ დღის საღამოსვე უნდა ეხმია უფუარ პურთან და მწარე ბალახთან ერთად. სწორედ ეს კრავი იწოდებოდა პასექად. მომავალი დღიდან იწყებოდა შვიდდღიანი უფუარობის დღესასწაული. ასე იწოდებოდა იგი, რადგან ამ დღეებშიც და ასევე პასექის დღესაც ებრაელებს საკვებად უფუარი პურის გამოყენება ევალებოდათ. სახლშიც არ უნდა გაეჩერებინათ არაერთარი საფუარიანი საკვები.“

პირველი სამი მახარებლის ნაუწყებიდან (მათ. 26:17, მარკ. 14:12, ლუკ. 22:7) ჩვენ ვიცით, რომ იესომ თავისი სიკვდილის წინ, ანუ ხუთშაბათს, იხმია პასექი მოციქულებთან ერ-

თად. იოანეს სახარებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ სინედრონის წევრები, რომლებმაც მიიყვანეს იესო პილატესთან პარასკევ დღით არ შევიდნენ მასთან (იოან. 18:28). შესაბამისად, მათ და მათთან ერთად ყველა ებრაელმა იხმია პასექი პარასკევ საღამოს, იესოს დამარხვის შემდეგ. იესომ იმ საღამოს, როცა იყო საჭირო, აღასრულა ძველათქმისეული პასექი, რადგან ეს გარდაუვალად მიიჩნია. ეს დღე იყო 14 ნისანი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ებრაელებთან დღე (24 საათიანი ეამი) იწყებოდა მზის ჩასვლიდან. სავარაუდოა, 14 ნისანი დაიწყო არა ჩვენს კალენდარულ პარასკევს, არამედ ხუთშაბათს, მზის ჩასვლის შემდეგ. ეს საღამო, ჩვენეული ხუთშაბათისა, ებრაელებისთვის ითვლებოდა პარასკევის დასაწყისად. ამიტომ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ საიდუმლო სერობა აღესრულა ებრაული ათვლით პარასკევის დასაწყისში, ხოლო ჩვენეული ათვლით – ხუთშაბათის დასასრულს, მზის ჩასვლის შემდეგ. იესო ჯვარს აცვეს პარასკევს, 14 ნისანს, ჩვენი დროით – დილის 9 საათზე, ხოლო ებრაულით კი – 3 საათზე. იმ წელს ყველა ებრაელმა იხმია პასექი ჩვენი გამოანგარიშებით, პარასკევ საღამოს, იესოს დაკრძალვის შემდეგ, ხოლო, ებრაული ათვლით, ეს იყო უკვე შაბათის დასაწყისი, 15 ნისანი. მოიაზრებენ, რომ საყოველთაო დღესასწაული პასექისა იმ წელს იქნა გადაწეული 15 ნისანამდე, რათა პირველი დღე უფუარობისა არ დამთხვეოდა შაბათს. მართალია თუ არა ეს უკანასკნელი მოსაზრება, ჩვენთვის უმნიშვნელოა, რადგან საკმარისია იმის ცოდნა, რომ იესომ თავის მოციქულებთან ერთად იხმია პასექი 14 ნისანს, ხოლო სხვა ებრაელებმა – 15 ნისანს“⁶³.

საინტერესოა ცოდნა იმისა, სავარაუდოდ, ვის ეკუთვნოდა ის სახლი, სადაც მაცხოვარმა თავისი უკანასკნელი პასექი აღასრულა. ამასთან დაკავშირებით არსებობს ვერსია, რომ იგი ეკუთვნოდა იოსებ არიმათიელს⁶⁴. ქალაქი არიმათია მდებარეობდა იუდეაში (ლუკ. 23:51). იოსები სინედრიონის⁶⁵ (საკრებულოს) წევრი, შეძლებული და პატივდებული ადამიანი იყო, რადგანაც პილატესგან გამოითხოვა იესო ქრისტეს სხეული და დაასვენა კლდეში გამოკვეთილ სამარხში (მარკ. 15:43-47; ლუკ. 23:50-56).

უფალმა უთხრა იოანეს და პეტრეს, რომ ქალაქში (იგულისხმება იერუსალიმი) შესულები გაჰყოლოდნენ მსახურს, რომელსაც კოკით წყალი მიჰქონდა თავის ბატონთან. ქრისტემ დააბარა მოციქულებს, ეთქვათ სახლის პატრონისთვის, რომ მოძღვარს სურდა პასექის აღსრულება თავის მოწაფეებთან ერთად მეპატრონის სახლში. ხსენებული სიტყვებიდან გამომდინარე, ვარაუდობენ, რომ სახლის მფლობელს გარკვეული ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ქრისტესთან. შეიძლება ეს მოსაზრება მართებულიადაც მივიჩნიოთ და უცნობი ადამიანი იოსებ არიმათიელთან გავაიგივოთ, რადგან, ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, რაჟამს უფალს ლახვარი უგმირეს ჯვარზე, იოსებმა სწორედ იმ თასში მოაგროვა საღმრთო სხეულიდან გადმონადენი სისხლი, რითაც უფალმა სერობის ღამეს მოციქულები აზიარა⁶⁶. იესო ქრისტეს სიტყვებში პასექის აღნიშვნისას მოციქულების თანამონაწილეობის შესახებ ჩანს, რომ უფალს სურდა სახლის მეპატრონეს პასექისათვის გაეთვალისწინებინა მათი რაოდენობა.

ეკლესიის მამათა განმარტების თანახმად, საპასექო სერობისას უფალმა ფეხები დაბანა მოციქულებს და მათ შორის

მოლაღატე იუდასაც, რომელსაც უფლის მითითებაზე, რომ ერთ-ერთი მათგანი უღალატებდა, არ შერცხვენია, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მოძღვრის გაცემა. აღმოსავლური ტრადიციების თანახმად: „სტუმრების სახლში შემოსვლისას, ოჯახის უფროსის მსახურნი ან მონები მგზავრობისაგან დამაშვრალ ადამიანებს ფეხებს ბანდნენ. მოცემულ შემთხვევაში, რაჟამს იესო მოციქულებთან ერთად სახლში შევიდა, სადაც პასექი იყო გამზადებული, ფეხები მათთვის არავის დაუბანია, სავარაუდოდ, იმ მიზეზით, რომ სტუმრებს, ოჯახის უფროსის თანხმობით, სახლის მხოლოდ ერთი ოთახი განეკუთვნათ, თუმცა სტუმრებად ისინი არავის მიუჩნევია. იესოს აღნიშნული გარემოებისთვის ყურადღება არ მიუქცევია და მაშინვე ინახით დაჯდა მაგიდასთან, ვინაიდან მსგავსი განწმენდების შესახებ არსებულ განწესებებს არასოდეს აქცევდა ყურადღებას, ითხოვდა რა მის მიმდევართაგან გულის სიწმინდეს, განზრახვათა სახიერებას და არა სხეულის სისუფთავის დაცვის ფორმალურ წესს. მოციქულთა შორის ამ საკითხზე ბჭობა გაიმართა. მათ სურდათ, განწმენდის ტრადიცია დაეცვათ, რომელსაც, იუდაური შეხედულებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პასექის ღამეს, მაგრამ მსახურთაგან არავინ იმყოფებოდა იქ. შესაბამისად, რომელიმე მათგანს უნდა აელო საკუთარ თავზე და მომსახურებოდა მოძღვარსა და მეგობრებს. ვინაიდან ამგვარი მსახურება დიდად დამამდაბლებელ, თავისუფალი ებრაელისათვის მიუღებელ მოვლენად ითვლებოდა, მოციქულთა რიგებში დავა წარმოიშვა, თუ ვინ უნდა მიჩნეულიყო მათ შორის დიდად და, შესაბამისად, ასეთი დამამდაბლებელი საქმისაგან გათავისუფლდებოდა...

რაჟამს იესომ მოისმინა კამათი, მოციქულებს პირველობასთან დაკავშირებით აღრე ნათქვამი სიტყვები მოაგონა: „მეფენი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა, და რომელთა ჳელმწიფებაჲ აქუნ მათ ზედა, ქველის-მოქმედ ჰრქვან. ხოლო თქუენ არა ეგრე იყვნეთ, არამედ უდიდესი იგი თქუენ შორის იყავნ მრწემ, და წინამძღუარი იგი – ვითარცა მსახური“ (ლუკ. 22:25-26). ამის თქმისას საკუთარი მაგალითით დაამოწმა თავისივე თქმული: ადგა მაგიდიდან, ზედა სამოსი განიძარცვა, განბანვისთვის მომზადებული სუდარა აიღო, ჯამში წყალი ჩაასხა და მოციქულების ფერხობანვას შეუღდა⁶⁷.

იცოდა რა მაცხოვარმა, რომ ეს თავისი უკანასკნელი სერობა იყო ამქვეყნად, მან უთხრა მოციქულებს: „გულის-სიტყუთ გული-მითქუმიდა პასექსა ამას ჳამად თქუენ თანა ვიდრე ვნებადმდე ჩემდა“ (ლუკ. 22:15), თუმცა მათე მახარებელთან ეს სიტყვები გვხვდება ევქარისტის დაწესების შემდეგ. უფალმა ამ საუბრით წინასწარ აუწყა მსმენელს იმ გამომსყიდველობითი ტანჯვის შესახებ, რაც მოელოდა მას. ა. ლოპუხინის მოსაზრების თანახმად, ძნელი განსამარტავია პირდაპირი მნიშვნელობა წარმოდგენილი სიტყვებისა, თუმცა, მკვლევრის აზრით, შესაძლოა, ამაში ის იგულისხმებოდა, რომ ქრისტე მიიღებდა მათთან ერთად საზრდელსა და სასმელს აღდგომის შემდგომ: „ჩუენ, რომელნი მის თანა ვჳამდით და ვსუემდით შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა მისისა“ (საქ. 10:41). კითხვასთან დაკავშირებით, დალია თუ არა ქრისტემ ღვინო მოციქულებთან ერთად სერობისას, შეგვიძლია ვუპასუხოთ დარწმუნებით, რომ, იუდაური წესით (და არა რჯულის მიხედვით), ღვინის დაღვევის საჭიროება იყო საპასექო კრავის ჳამის დროს, მაგრამ ევქარისტული

თასიდან ზიარების საიდუმლოს დაწესებისას მაცხოვარს აღარ შეუსვამს, რადგან ძნელი საფიქრებელია, მას საკუთარი სისხლი მიეღო⁶⁸.

პირველი სასმისის კურთხევისას, ლუკას სახარების მიხედვით, მაცხოვარმა ებრაულ ლოცვას შემდეგი სიტყვები შეჳმატა: „ამიერიოგან არღარა ვსუა ნაყოფისაგან ვენაჳისა, ვიდრემდე სასუფეველი ღმრთისაჲ მოვიდეს“ (ლუკ. 22:18). აღნიშნული სიტყვები იმითაა საგულისხმო, რომ იესო ქრისტე საუბრობდა ახალ, სრულყოფილ, პასექზე, რომელიც კაცობრიობას ზეციური მამის წიაღში უნდა დადგომოდა.

საპასექო ტრაპეზისას მაცხოვარმა ბრძანა, რომ მას უღალატებდნენ: „ამენ, ამენ გეტყვ თქუენ, ვითარმედ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე“ (იოან. 13:21). მათეს სახარებაში მითითებულია, რომ მოციქულებმა სათითაოდ დაუსვეს მაცხოვარს კითხვა, თავად რომელიმე მათგანი ხომ არ გასცემდა მას, რაზეც მაცხოვარმა უპასუხა: „რომელმან შთამოყოს ჩემ თანა ჳელი პინაკსა ამას, ამან მიმცეს მე“ (მათ. 26:23). აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით, ზემოხსენებული ღვთისმეტყველი გლადკოვი შენიშნავდა: „იესოს მკერდს მიყრდნობილმა იოანემ ჳკითხა: „უფალო, ვინ არის?“ იესომაც ასევე ჩუმაღ უპასუხა: „ის, ვისაც მე ამოვუწობ პურს და მივცემ“.

მახარებელი მათე გვაუწყებს მოციქულთა კითხვებზე: „მე ხომ არა, უფალო“? იესომ უპასუხა: „ვინც ჩემთან ერთად ჩაყოფს ხელს პინაკში, ის გამცემს მე“ (მათ. 26:23).

არ დავუშვებთ რა ურთიერთწინააღმდეგობას მახარებლებს შორის ნაუწყებში, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ იესომ თავიდან უთხრა ყველას, უღალატებდა მას ის, ვინც მასთან

ერთად ჩაყოფდა ხელს პინაკში. სავარაუდოა, რომ შეცბუნებული მოციქულები იმდენად იყვნენ გაოგნებულნი ნაუწყებით, რომ არც კი დაუკვირდნენ, რომელი ჩაყოფდა იესოსთან ერთად ხელს პინაკში. ამიტომ იოანეს შეკითხვაზე იესომ სხვა რამ მიანიშნა.

საპასეჟო საღამოს მომზადებული კრავის, უფუარი პურისა და მწარე ბალახის გარდა, ჩამოატარებდნენ კიდევ განსაკუთრებული ჯამით ფინიკის სქელ წვნიანს, ლელვსა და სხვა ნაყოფებს. დანებსა და ჩანგლებს არ იყენებდნენ, არამედ საკვებს იღებდნენ ხელებით და ჭამდნენ უფუარ პურს, რომლის ნატეხებსაც აწობდნენ ჯამში განთავსებულ ტკბილ წვნიანში.

უპასუხა რა იოანეს მაცხოვარმა, პურის ნატეხი პინაკში ჩააწო და მიაწოდა იუდას. ამ უკანასკნელმა აიღო და იხმია. მახარებლის შენიშვნით, აკვირდებოდა რა იგი იუდას მთელი ამ დროის მანძილზე, რომლის სახეზეც მკვეთრი ცვლილება მოხდა, უწინდელი მოჩვენებითი სიმშვიდე გაქრა და თავხედური, სატანისეული გამომეტყველებით შეიცვალა: „და შემდგომად მიღებისა იუდაჲსა პურისა მის, შევიდა მისა ეშმაკი“ (იოან. 13:27). დაინახა რა, რომ ვერაფრით შველოდა წარწყმედის ძეს, იესომ უთხრა მას: „რომელი გეგულების საქმედ, ყავ ადრე“ (იოან. 13:27).

იუდამ გაიგო, რომ მისი დაღატი ცნობილი იყო იესოსთვის და ამიტომ წასვლის შეთავაზებაზე გახარებული გაიქცა სინედრიონში მცველებთან, რათა მიესწრო იესოს შესაპყრობად, სანამ ის ღამის გასათენებლად წავიდოდა. უკვე ღამე იყო, როცა იუდა წავიდა⁶⁹.

არსებობს განსხვავებული მოსაზრება იუდას მიერ ევქარისტულ საიდუმლოში მონაწილეობის შესახებ. განმმარტებელთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ იუდამ ზიარება მიიღო. წმინდა იოანე ოქროპირის თანახმად: „ჰოი, რაოდენ დიდია სიბრძავე გამცემლისა! ეზიარებოდა რა საიდუმლოებებს, იგივე რჩებოდა და ტკებოდა რა შემადრწუნებელი ტრაპეზით, არ იცვლებოდა. ამას გვიჩვენებს მოციქული (იოან. 13:27), როდესაც ამბობს, რომ ამის შემდეგ შევიდა მასში სატანა“⁷⁰. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი აღნიშნავდა, რომ იუდამ საიდუმლოს დაწესებისას პური აიღო, მაგრამ დამალა (არ სურდა მას ზიარება და აპირებდა ხორცის ჩვენებას იუდეველთათვის), თუმცა სასმელი კი, არ უნდოდა, მაგრამ მაინც დალია, რადგან მის დამალვას ვერ შეძლებდა⁷¹.

ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებების პარალელურად, არსებობს განსხვავებული შეხედულებებიც: მაცხოვარმა იუდას მიაწოდა წყალში ჩაწობილი პური, რადგან ის არ იყო ღირსი იმ პურისა, რაც ღვინოსთან ერთად დაურიგდა მოციქულებს. მისთვის, ვინც გასცემდა იესოს, არაჯეროვანი იყო პურის სახით მიეღო ის, ვინც სძლევადა სიკვდილს⁷². ა. ლოპუხინი იმოწმებს წმინდა ილარიონს და გვაუწყებს, რომ იუდას არ მიუღია ქრისტეს ხორცი⁷³.

უფალმა ჯერ ძველათქმისეული პასეჟი აღასრულა, სერობის შემდგომ აიღო თასი და წარმოთქვა: „ესე სასუმელი – ახალი სჯულისა ჩემისაჲ თქვენთვის დათხეული“ (ლუკ. 22:20). მაცხოვარმა მოციქულთა თვალწინ დაამოწმა, რომ ის გამოსხნა, რასაც ელოდა ისრაელის რჩეული ერი, მაღე აღესრულებოდა.

ბველი ალტჰიმის მიზანი იყო, ადამიანებს მსხნელის შესახებ მოძღვრება შეემეცნებინათ და გადარჩენის საიდუმლოს სიღრმეებს დაუფლებოდნენ. შესაბამისად, რაჟამს უაღმატე-ბულესი საიდუმლო აღსრულდა და ღმერთი განკაცებული სახით მოევლინა წუთისოფელს, ბუნებრივია, მოსეს რჯული-სადმი დაკისრებულმა მისიამ საკუთარი თავი ამოწურა და გზა ახალ, მაცხოვრებელ მოძღვრებას დაუთმო, რის შესახებაც ასე გვაუწყებს იერემია: „რამეთუ ესე არს ალტჰამ, რომელი აღუთქუ სახლსა ისრაჴლისასა და სახლსა იუდა-სასა, შემდგომად მათ დღეთა, – თქუა უფალმან, მიმცემელ-მან შჯულთა ჩემთამან გონებათა მიმართ მათთა და მკერდ-სა ზედა გულთა მათთასა დავეწერნე იგინი, და ვიყო მათდა ღმერთად, და იგინი იყუნენ ჩემდა ერად“ (იერ. 31:33). საი-დუმლო სერობისას ახდა უდიდესი მოლოდინი ადამიანები-სა: ქვეყნიერების შემოქმედმა კაცობრიობას უბოძა არა ქვის ფილებზე ლიტონად დაწერილი 10 მცნება, არამედ თითოეულ მართლმორწმუნეს გულის წიაღში უფლის მოძღ-ვრებისადმი ტრფიალი შთაუნერგა. საოცარი გამომსახველო-ბით ეხმიანებოდა აღნიშნულ მოვლენას წინასწარმეტყველი ეზეკიელი, რომელმაც უფლის სახელით ასეთი სიტყვები თქვა: „და მივსცე მათ გული სხუად და სული ახალი მივსცე მათ შორის და გამოვჴფხურა გული მათი ქვისად და მივსცე მათ გული ჳორცისად ჳორცისაგან მათისა. რათა ბრძანება-თა შინა ჩემთა ვიდოდინ და სამართალთა ჩემთა იმარხე-იდენ და ჰყოფდენ მათ; და იყუნენ ჩემდა ერად და მე ვიყო მათდა ღმერთად“ (ეზეკ. 11.19-20).



პასექთან დაკავშირებული სიმბოლოები და მათი ეზეკიელის

პასექის დღესასწაულს უდიდესი ისტორიული მნიშვნელო-ბა ენიჭება ისრაელიანთა ცხოვრებაში, რადგან იგი ადამი-ანთა ტყვეობიდან გამოსხნის წინასახეა (რაც აღსრულდა ახალ ალტჰამში ცოდვათა ტყვეობიდან გათავისუფლებით), მაგრამ, გარდა ისტორიული საზრისისა, მას გააჩნია სულიერი მნიშვნელობის სახე-სიმბოლოებიც.

უფალი მოსე წინასწარმეტყველის პირით ისრაელს თაო-ბიდან თაობაში პასექისა და უფუარობის დღესასწაულის აღნიშნვას უცხადებდა, რათა ერს ხსომებოდა თავისუფლებ-ის ფასი და ჰქონოდა იმედი ჴეშმარიტი სულიერი ხსნისა, რაც მესიის მოვლენით გახდებოდა შესაძლებელი. პასექის სუფრაზე კრავის შეწირვა რომ სახე-სიმბოლო იყო მაცხ-ოვრის მიერ გაღებული მსხვერპლისა, ამას თავად ბიბლია, მამათა განმარტებები თუ ლიტურგიკული საკითხავები გვიდა-სტურებენ.

წმინდა კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, „მსხვერ-პლშეწირვის აღსრულების დრო წელიწადის დასაწყისში, პირველ თვეს, განისაზღვრა, რადგან ყოველივეს დასაბამი ქრისტეა“⁷⁴.

კრავის გამორჩევა ხდებოდა 10 ნისანის მიმწუხრს, ხოლო 14-ში, საღამოს, კი დაიკვლოდა. შუალედური ხუთი დღის გან-მავლობაში კრავს აკვირდებოდნენ, ჰქონდა თუ არა მას რამე ნაკლი. ამასთანავე, აუცილებლად მამალი უნდა ყოფილიყო.

კრავი თავისი უწყინარი ბუნების მიზეზით გამორჩეული იყო სხვა ცხოველებისაგან. ამიტომაც განეკუთვნა მას წმინდა

წერილში მაცხოვრის სახე-სიმბოლო: „აჰა, ტარიგი ღმრთისა, რომელიც იტვირთავს ქვეყნის ცოდვებს“ (იოან. 1:29). ესაია წინასწარმეტყველთანაც გვხვდება მსგავსი თხრობა (ისევე, როგორც ძველი აღთქმის წიგნების არაერთ ადგილზე არის ნაწილები კრავის მსხვერპლშეწირვა): „ვითარცა ცხოვარი, კლვად მიმართ მიიყვანა და, ვითარცა კრავი, წინაშე მრისველისა თვისისა უკმოდ, ეგრეთ არა აღაღებს პირსა თვისსა.“ (ეს. 53:7). წმინდა კირილე ალექსანდრიელმა წარმოდგენილი მუხლი ასე განმარტა: „რაჟამს მწყემსები ცხვრის გაპარსვას შეუდგებოდნენ, ხშირად საპარსი მოწყობილობა პირუტყვის კანს ეხებოდა, რაც უდიდეს ტკივილს იწვევდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, დუმდა ცხვარი და არასოდეს უპირისპირდებოდა მრისველს, რითაც საკუთარ მორჩილ ბუნებას საცნაურჰყოფდა. სწორედ ესაა მიზეზი უტყვი არსების მაცხოვრის სიმბოლოდ წარმოჩენისა“⁷⁵.

წმინდა იოანე ოქროპირის განმარტების თანახმად, საპასექო კრავი იმიტომ უნდა ყოფილიყო მამალი, რომ „ამ სქესს მიეკუთვნება პირველობა და უპირატესობა, როგორც მამაკაცს აქვს ხორციელი უპირატესობა ქალზე“⁷⁶. ამასთანავე კრავს არ უნდა ჰქონოდა ნაკლი. რადგან ძველი აღთქმის რჯული შესაწირი მსხვერპლის სრულ ფიზიკურ სიმრთელეს მოითხოვდა; ადამიანს უზენაესისთვის საუკეთესოთა შორის საუკეთესო უნდა შეეწირა (გამ. 12:5). ზემოხსენებული მოვლენის ჭეშმარიტება აბელის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენითაც დასტურდება, როდესაც საუკეთესო ძღვენი წრფელი გულით მიიტანა მან ღმერთის წინაშე.

პასექის აღსრულებისას, საღვთო მითითებით, კრავის სისხლი კარის თავსა და წირთხლს ეცხებოდა, რაც, მამათა გან-

მარტებით, სიმბოლოურად ჯვრის ფორმას განასახიერებდა: კარის თავზე ნაცხები სისხლი ქვეჩამოედინებოდა და იქმნებოდა ვერტიკალური ხაზი, ხოლო წირთხლებზე, ანუ გარდღივარდმო ნაცხები სისხლით – ჰორიზონტალური. ჯვრის ფორმით ნაცხები კრავის სისხლი გადამრჩენელ ძალად იქცა. წარმოდგენილი სიმბოლოები: სისხლი, ჯვარი ერთგვარი წინასწარმეტყველებაა მაცხოვრის მიერ კაცობრიობის გამოსახსენლად აღსრულებული მსხვერპლშეწირვისა, რითაც ადამის მოდგმას სულიერი თავისუფლება ებოძა. ეგვიპტეში კრავის სისხლმა გამოიხსნა ისრაელიანნი, ახალი აღთქმის ეპოქაში მორწმუნეთათვის ევქარისტის საიდუმლოა ცოდვათაგან გამომსხნელი: „ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისაჲ, მრავალთათვის დათხეული მისატყვებლად ცოდვათა“ (მათ. 26:28).

მამათა ეგზეგეტიკაში საპასექო დღეებსაც უდიდესი სიმბოლოური დატვირთვა გააჩნია. წმინდა ეფრემ ასურის მოსაზრებით, გაბრიელ მთავარანგელოზისგან ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამის ხარება სწორედ ის დღე იყო, როდესაც კრავი გამოირჩეოდა, ანუ ნისანის 10 რიცხვი⁷⁷. საპასექო კრავი ხუთი დღის მანძილზე გამოცალკეებულ იყო სხვებისგან და 14-ში, საღამოს, დაიკვლებოდა. წმინდა კირილე ალექსანდრიელმა კრავის გამორჩევიდან დაკვლამდე გასული ხუთი დღე სიმბოლოურად განმარტა და კაცობრიობის მიერ განვლილი დროის ხუთ პერიოდს დაუკავშირა: პირველი დღე სიმბოლოურად ადამის სამოთხეში ყოფნას განასახიერებდა; მეორე ადამის დაცემიდან ნოესა და მისი თანამედროვეების ცხოვრების ჟამს ასახავდა; მესამე, ანუ 12 ნისანი – ეს იყო დრო, როდესაც ღმერთმა ჭეშმარიტების შესაცნო-

ბად მოუწოდა აბრაამს; მეოთხე – მოსესა და წინასწარმეტყველთა ეპოქა; ხოლო ბოლო, მეხუთე დღე, 14 ნისანი, ახალი აღთქმის დასაწყისის სიმბოლო იყო, რადგან სწორედ ამ უამს, რჩეული ერის მიერ უარყოფილმა და ჯვარზე გაკრულმა მაცხოვარმა, ეკლესიის წიაღში მთელ წარმართულ კაცობრიობას მოუხმო⁷⁸.

პასექის აღსრულება ღამით ხდებოდა. სიბნელე სიმბოლურად ბოროტებასთანაა გაიგევებული. ისრაელიანნი კი, აღნიშნავდნენ რა პასექის დღესასწაულს, ახალ დღეს, ანუ ბოროტების დასასრულს მოელოდნენ, რაც ეგვიპტური კირთებისაგან გაათავისუფლებდა მათ და, ამავდროულად, ქანაანისკენ გადაადგილების შესაძლებლობას მისცემდა. აღთქმული ქვეყანა ეკლესიის მამათაგან განმარტებულია, როგორც სიმბოლო მაცხოვრის მიერ მართლმორწმუნეთათვის მინიჭებული ზეციური სასუფევლისა. წმინდა დავით მეფსალმუნემ ბრძანა: „გამოაბრწყინვოს დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშვიდობაჲ, ვიდრემდის განკაფდეს მთოვარე“ (ფს. 71:7). 71-ე ფსალმუნში მესიისადმი ადამიანთა მოდგმის საყოველთაო მოლოდინი იყო აღწერილი, ვისაც წარმართები – „ჰინდონი და არაბიელნიც“ კი, დაემორჩილებოდნენ, რაუამს გაიფანტებოდა სულიერი წყვილიადი. პასექის რიტუალშიც სწორედ ეს მოლოდინი ჩანდა: დადგებოდა უამი, როდესაც დაიძლეოდა ბოროტება და კაცობრიობას სინათლე მოეფინებოდა. სიბნელის დამარცხება რომ იესო ქრისტეს უკავშირდება, ეს პავლე მოციქულმაც გვაუწყა: „ღამე იგი განგუეშორა, და დღე შემოგუეახლა; განვიშორნეთ უკუე საქმენი ბნელისანი და შევიმოსოთ საჭურველი ნათლისაჲ“ (რომ. 13:12).

საპასექო სუფრისას დამსწრეთა ჩაცმულობაც განისაზღვრებოდა: „და ჭამდენ ესრე სახედ: კუერთხები ჳელთა, სარტყელი – წელთა, ჳამლი – ფერჳთა“ (გამ. 12:11). სარტყელის შემორტყმა წმინდა წერილში სულიერ მზადყოფნას, სიფხიზლეს მოასწავებს და ბიბლიაში მსგავსი მითითება მრავალგზის გვხვდება: „შეირტყ ვითარცა მამაკაცმან წელნი შენნი“ (იობ. 38:3); „და იყვნენ სიმართლით მორტყმულ წელნი მისნი“ (ეს. 11:5) და ა. შ. სარტყელს სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებოდა ძველი აღთქმის ეკლესიის მსახურებაშიც⁷⁹. იგი სასულიერო პირებსა და წინასწარმეტყველებს ჰქონდათ შემოსილი და სულიერ მზადყოფნას, სიფხიზლეს, განასახიერებდა, რამაც ახალი აღთქმის ეკლესიაშიც პოვა ასახვა.

ფეხზე მოსილი ხამლი წმინდა ეფრემ ასურის თანახმად, ჭეშმარიტების ქადაგებისთვის მზადყოფნის სიმბოლოა. სანდლების ამორჩევა, შესაძლოა, განპირობებული იყო პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისითაც. მათ ფეხით უნდა ევლოთ და, შესაბამისად, მგზავრობისთვის მოსახერხებელი ფეხსაცმელი სჭირდებოდათ. წმინდა მამა კვერთხთან დაკავშირებით შენიშნავდა, რომ იგი მოციქულთა მიერ ნატვირთვი ღვაწლის სახე-სიმბოლოს წარმოადგენდა⁸⁰.

პასექის აღნიშვნისას ტრაპეზი ფეხზე მდგომარეებს უნდა მიეღოთ, რომ საიდუმლოს აღსრულებისას სათანადო პატივი მიგებოდა ღმერთს და ამ ვითარებაში მათი ფეხზე დგომაც ამის ნიშანია.

იუდაური ტრადიციის მიხედვით, წინადაუცვეთელი პასექის დღესასწაულში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, რადგან იგი არ იყო ძველი აღთქმის ეკლესიის წევრი. სახეობრივად

იგივე რამ ხდება ახალ აღთქმაშიც, რადგან თვინიერ ნათლის-
ღებისა, ვერავინ მიეახლება უფლის საიდუმლოებებს.

საპასეჟო ტრაპეზზე, გარდა კრავის ხორცისა, უფუარი
პური და მწარე ბალახიც (ველისყრდელი) უნდა ყოფილ-
იყო. პირშუშხას მიღება ადამიანში ბუნებრივი სიმწარის
გამო ცრემლების დენას განაპირობებდა. ცრემლი სინანუ-
ლის სიმბოლოა, რისი საშუალებითაც ადამიანი ცოდვებისა-
გან იწმინდება, ხოლო პასეჟის აღსრულებისას გამოყენებუ-
ლი მწარე ბალახი ისრაელიანებს ეგვიპტეში განცდილ
ტანჯვას ახსენებდა და, ამავდროულად, პასეჟის საიდუმ-
ლოსთან მიახლებამდე ცრემლთა დენით ამ მოვლენისთვის
განამზადებდა მათ, რაც სულიერად ახალი აღთქმის ეკლე-
სიის უმწვერვალეს საიდუმლოს – ზიარებას განასახიერებ-
და და ეგვიპტის კანონში მონაწილეობისას ადამიან-
ის აუცილებელ გულშემუსვრილობაზე მიუთითებდა.

აბელის ცნობილი ისტორიიდან მოყოლებული მთელი
ძველი აღთქმის საღვთისმსახურო ტრადიციაში კრავი წმინდა
ცხოველად მიიჩნეოდა. ამიტომაც არ შეიძლებოდა პასეჟის
აღსრულებისას მისთვის ძვლების შემუსრვა (გამ. 12:10).
ასევე არ შეუძუსრავთ წვივები „ღვთის ტარიგისთვის“ (იესო
ქრისტესთვის) ჯვარზე აღსრულებისას, რასაც ამოწმებს იოანე
მოციქული (იოან. 19:33). მართალია, უფალს ხელ-ფეხი „განუხ-
ვრიტეს“ და გვერდში შუბი „უგმირეს“, მაგრამ წვივები არ
დაუმსხვრევიან⁸¹. წმინდა კირილე ალექსანდრიელის თანახ-
მად, კრავის ძვლები სახეობრივად სარწმუნოების დოგმატებს
მოასწავებდა, რომლებიც ჭეშმარიტი მორწმუნისგან არა-
სოდეს შეიმუსრებოდა⁸².

სისხლით აღბეჭდილი სახლი სიმბოლურად ადამიანის
სულის განასახიერებდა, რომელსაც ახალ აღთქმაში ნათლის-

ღების აღუტეხელი ბეჭედი უნდა ეტვირთა; ხოლო კარის
თაზე ცხება მორწმუნის ზეცისკენ სწრაფვის სახე იყო.


მრავალი თანამედროვე მკვლევარი მიუთითებს, რომ მაცხ-
ოვრის დიდებით შესვლა იერუსალიმში ნისანის 10-ში მოხ-
და. ამ მოვლენით იესო ქრისტემ ერს საკუთარ მსხვერპლ-
შეწირვაზე მიუთითა⁸³, რომ იერუსალიმში დიდებით შესუ-
ლი „გალილეელი წინასწარმეტყველი“ სწორედ ის კრავი
იყო, ვისაც საუკუნეების მანძილზე მოელოდა რჩეული ერი
თუ კაცობრიობა.

წმინდა იოანე ოქროპირის განმარტების თანახმად, „14
არის დღე ტანჯვისა – ეს დღე ემთხვევა პარასკევს“⁸⁴.
მნიშვნელოვანია, განისაზღვროს მაცხოვრის ჯვარცმისას
სახარებაში ნაუწყები სიტყვის – „აღსრულდას“ – მნიშ-
ვნელობა (იოან. 19:30). განმარტების თანახმად, იერუსალი-
მის ეკლესიაში პასეჟის დღესასწაულზე სასულიერო პირე-
ბი კრავის შეწირვის დასასრულს წარმოთქვამდნენ სიტყ-
ვას „აღსრულდა“⁸⁵. მაცხოვარისგან თქმული იგივე სიტყვა
(„აღსრულდა“) ნაწინასწარმეტყველების აღსრულებას, ასევე
ძველის დასასრულსა და ახალი აღთქმის დასაწყისის შესახ-
ებ გვამცნობს.

საინტერესოა, გავეცნოთ პასეჟის რიტუალზე მესიანისტი
ებრაელების სიმბოლურ განმარტებას. როგორც ზემოთ აღვ-
ნიშნავდით, სედერზე დიასახლისი ანთებს სანთლებს, რაც,
მათი აზრით, ქალწულ მარიამისაგან წინასწარმეტყველები-
სამებრ მაცხოვრის შობას მიანიშნებს: „აჰა, ქალწულმან
მუცლად-ილოს და შვეს ძედ და უწოდიან სახელი მისი
ემმანუილ“ (ეს. 7:14). როგორც ქალწულ მარიამისაგან იშვა
„მზე სიმართლისა“, რომელმაც გაფანტა წყვილი, ასევე

ქალის მიერ ხდება სანთლების ანთებით სიბნელის გაფანტვა საპასექო სუფრიდან.

მაცა-თაშიდან შუა ხმიადის გამორჩევისა და განტეხვის შემდეგ აფიკომენს გაახვევენ თეთრ ნაჭერში და გადამალავენ. სამი მაცა, იმავე მესიანისტი ებრაელების განმარტებით, მამის, ძისა და სულიწმინდის სიმბოლოა. აქედან არჩევენ შუას, ანუ ძეს, რომელიც კაცობრიობის გამოსასხსნელად ვნებას მიეცა. იგი იტანჯა, რაც სიმბოლურად მაცის შემთხვევაში აღინიშნება განტეხვით. სუდარაში შეხვეულ მაცხოვარს განასახიერებს თეთრ ნაჭერში გახვეული აფიკომენი, ამ უკანასკნელს სუფრის თავკაცი დამსწრეთაგან გადამალავს ტრაპეზის დამთავრებამდე, შემდეგ მოაძებნიებენ პატარებს, რაც სიმბოლურად გამოხატავს ისრაელის ერისათვის ქრისტეს მოძიების აუცილებლობას⁸⁶.



ღესკვნა

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ერთ-ერთი უდიდესი იუდაური დღესასწაულის, პასექის, შესახებ ვიმსჯელებთ. თავდაპირველად წარმოვანიხეთ ტერმინ პასექის ეტიმოლოგია და ძველ ქართულ საეკლესიო ლიტურგურაში არსებული მისი ექვივალენტები.

შემდეგ ხსენებული დღესასწაულის აღსრულების ლიტურგიკულ მონაცემებს შევხებით, კერძოდ, პასექის აღსრულების პრაქტიკული მხარე დროთა განმავლობაში გარკვეულ ცვლილებებს დაექვემდებარა. ეგვიპტეში პირველად აღსრულებული საფესახო ტრაპეზი მოიცავდა: კრავის ხორცს, ხმიადსა და მწარე ბალახს, თუმცაღა, თემაში გაანალიზებული წყაროების თანახმად, მას დაემატა: სადიდებელი (პალელ) ფსალმუნების გალობა, წინასწარმეტყველ იერემიას „გოდება“, 4 ჭიქა ღვინის შესმის ტრადიცია. აღნიშნული საკითხავების ჩამატება საპასექო მსახურებისას ხდებოდა მას შემდეგ, რაც რომელიმე კონკრეტული ძველათქმისეული მართალი საღვთო ხმოვით ასპარეზზე გამოვიდოდა და საზოგადოებაზე წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებდა. სწორედ ასეთი სულიერი წინამძღვრების მიერ დაწერილი წიგნებიდან (იგულისხმება ძველი აღთქმის წიგნები: ფრაგმენტები ხუთწიგნეულიდან, ფსალმუნებიდან, საწინასწარმეტყველო წიგნებიდან) ხდებოდა შესაბამისი ადგილების ამოკითხვა.

ამავდროულად, ნაშრომში, ეკლისიის მამათა სწავლების ფონზე, განვიხილეთ პასექის სულიერი მნიშვნელობა, თუ რა ურთიერთმიმართებაა რჩეული ერის წიაღში ღვთისაგან დაწესებულ რიგით პირველ დღესასწაულსა და ახალი აღთქმის ეკლესიის უდიდეს საიდუმლოს, მაცხოვრის ჯვარცმას, შორის.

შენიშვნები

¹ გელოვანი ა. რელიგიურ ტერმინთა ლექსიკონი, თბილისი, 1990, გვ. 74;

² სუქოთი ებრაულ ენაზე ნიშნავს კარავს, რაც გვხვდება კიდევ მამამთავარ იაკობთან, როცა სუქოთს უწოდებს ქალაქს (დაბ. 33:17). სუქოთის დღესასწაულის მნიშვნელობა ისაა, რომ ისრაელიანები 7 დღის განმავლობაში საგანგებოდ მოწყობილ კარვებში, უდაბნოში, გადიოდნენ საცხოვრებლად, აღავლენდნენ ლოცვებს 40-წლიანი მიმოსვლის გასახსენებლად;

³ შდრ. „დავინახავ სისხლს და გვერდს აგივლით, არ მოგეკარებათ დამღუპველი სენი“ (გამ. 12:13);

⁴ Pass - ზმნა აღნიშნავს გასასვლელს, გადასავლელს, ხოლო over არის წინდებული და აღნიშნავს ზემოთ, ზე, მაგრამ Pass over სიტყვა-სიტყვით ითარგმნება როგორც – გვერდით ჩავლა;

⁵ შდრ. მცხ. ხელნაწ. „და იყოს სისხლი იგი თქვენდა აღსანიშნველად ზედა სახლებსა მას, რომელსა შინა იყვნეს ძენი ისრაელისანი, რომელთა შინა დაშენებულ იყვნეთ, მუნ ვიხილო მე სისხლი იგი აღნიშნული ზედა ბჭეთა მათ და დაგიფარნე თქვენ დაცვად თქვენდა გუემისა მისგან რისხვისა, რაჟამს გარდამოსრულ ვიყო და მოვსრვიდე პირმშოსა მას ეგვიპტისასა“ (გამ. 12:13). აღნიშნული განსხვავების დასტურად თანამედროვე რუსულენოვან წმინდა წერილის ტექსტსაც მოვიშველიებთ, რომელიც მასორითულ ბიბლიას შეესაბამება: „И будет у вас кровь знаменiem на домах, где вы находитесь, и увижу кровь и пройду мимо вас, и не будет между вами язвы губительной, когда буду поражать землю Египетскую“ (Исх. 12:13);

⁶ <http://en.wikipedia.org/wiki/Passover#Etymology>;

⁷ ფლავიოსი ი. მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელისსიტყუაობისანი, ტ. I, „მეცნიერება“, თბილისი, 1987, გვ. 165;

⁸ ჭელიძე ე. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2008, გვ. 264;

⁹ http://www.orthlib.ru/Gregory_Nazianzen/paskha.html.

¹⁰ ჭელიძე ე. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2008, გვ. 254-255;

¹¹ იქვე, გვ. 220-221;

¹² ფაქლი – „წყლულება რამე არს ხორცთა ამაქავებელი“ (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, „მერანი“, თბილისი, 1993, გვ. 186);

¹³ <http://lib.pravmir.ru/library/readbook/1080>;

¹⁴ ქალღმერთი ისიდა ეგვიპტური მითოლოგიის ღვთაება იყო, რომელიც ითვლებოდა ნაყოფიერების, ცოლქმრული ერთგულებისა და დედობრივი სიყვარულის განსახიერებად. მას გამოსახავდნენ როგორც ძროხისთავიან ან მხოლოდ რქებიან ქალს ჩვილი ყრმით ხელში (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, „საქსსრ მეცნ. აკადემია“, თბილისი, 1980, გვ. 228);

¹⁵ Толкование ветхозаветных книг от книги Бытие по книгу Руфь/Библейская миссия, СЕО, 1992, ст. 126;

¹⁶ სხვა ეროვნების ადამიანებზე უწყებას ვხვდებით წმინდა წერილში, გამოსვლათას მე-12 თავის 38-ე მუხლში, სადაც ისინი მოხსენიებულნი არიან „ჭრელ ხალხად“ (შდრ. „თან გაპყვა მათ უამრავი ჭრელი ხალხი, ცხვარ-ძროხა, ურიცხვი საქონელი“ (გამ. 12:38);

¹⁷ ფლავიოსი ი. მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელის სიტყუაობისანი, ტ. I, „მეცნიერება“, თბილისი, 1987, გვ. 165;

¹⁸ აღნიშნულ სამოქალაქო კალენდარში წლის პირველი თვე იწყებოდა სექტემბრის მეორე ნახევრით და გრძელდებოდა ოქტომბრის პირველი ნახევრის ჩათვლით (Толкование ветхозаветных книг от книги Бытие по книгу Руфь/Библейская миссия, СЕО, 1992, ст. 127);

¹⁹ აღნიშნული უწყება წმინდა წერილში არაერთგზის დასტურდება. მაგალითად, არსებობს ცნობილი ისტორია ოქროს ხბოს კერპის დამზადების თაობაზე, როდესაც ხალხი სინას მთაზე მყოფ მოსე წინასწარმეტყველს მოელოდა (გამ. 32);

²⁰ კვლავაც შევნიშნავთ, რომ ებრაულ კალენდარში თვე შემდგენაირად აღინუსხებოდა: ერთი თვე ჩვენეული კალენდრის ორ თვეს მოიცავდა, მაგალითად, ნისანი მარტის მეორე ნახევარსა და აპრილის პირველ ნახევარს აერთიანებდა; კისლევი – ნოემბრის მეორესა და დეკემბრის პირველ ნახევარებს და ა. შ.

²¹ Толкование ветхозаветных книг от книги Бытие по книгу Руфь/Библейская миссия, СЕО, 1992, ст. 128;

²² დასახ შრომა გვ. 129;

²³ კალენდრის შედგენისას ვიხელმძღვანელო დასახ. ნაშრომით, გვ. 128.

²⁴ ბიბლიის ამ მუხლის გარდა, სხვაგანაც გვხვდება უწყება ღვთისაგან მოსესთან ერთად აარონის მოწოდების შესახებ (გამ. 6:13, რიცხვ. 4:1, 17 და ა.შ.).

²⁵ [http://toldot.ru/tora/library/humash/shmot/boy/;](http://toldot.ru/tora/library/humash/shmot/boy/)

²⁶ მოსეს ხუთი წიგნის განმარტება, წილკნისა და დუშეთის ეპარქიის გამოცემა, თბილისი, 2003, გვ. 137;

²⁷ ჯვრის ფორმა იქმნებოდა შემდეგნაირად: კარის თავზე ნაცხები სისხლი მის პირდაპირ მიწაზე ჩამოედინებოდა, რაც ვერტიკალურ ხაზს ქმნიდა, ხოლო წიროხლებზე (კარის გვერდებზე) ნაცხები სისხლი – ჰორიზონტალურს;

²⁸ მცხეთური ხელნაწერის მიხედვით: „და შეჭამონ კრავი იგი მასვე ღამესა მწუარი ცეცხლითა, და უფუველი პური და ველი-სურდელი ჭამონ, ხოლო შეჭამონ კრავი იგი ესრე სახედ“ (გამ. 12:8);

²⁹ მოსეს ხუთი წიგნის განმარტება, წილკნისა და დუშეთის ეპარქიის გამოცემა, თბილისი, 2003, გვ. 139;

³⁰ Лопухин А.П. Толковая Библия, Институт перевода Библии,

Стокгольм, к. I, т. I, петербургъ, 1904-1913, ст. 311;

³¹ [http://toldot.ru/tora/library/humash/shmot/boy/;](http://toldot.ru/tora/library/humash/shmot/boy/)

³² მხეცური ხელნაწერის მიხედვით: „დღესასწაული უცომოთა უფლისა“.

³³ „უსუბი არს ბალახი სუნელი და ფრიად გამრეცხელი სარცხელთა; უსუბით ასხურებდნენ ერსა განსაწმედელად“. სულხან-საბა ორბელიანმა ასევე დაიმოწმა იოსებ ფლავიოსი, რომელმაც, უსუბის ნაცვლად, გამოიყენა სიტყვა „ვისსოპი – თივის მსგავსი, რომელსაც შეკრავდნენ და ისე ასხურებდნენ განსაწმენდელს“ (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, „მერანი“, თბილისი, 1993, გვ. 171);

³⁴ Лопухин А.П. Толковая Библия, Институт перевода Библии, Стокгольм, к. I, т. I, петербургъ, 1904-1913, ст. 312-313;

³⁵ დასახ შრომა გვ. 482-483;

³⁶ ბიბლიის განმარტებანი, Толковая Библия Лопухин А.П. ტ. III, „დარასი“, 2000, გვ. 163;

³⁷ Мэтью Г. Толкование Книг Ветхого Завета, Dutch Reformed Tract Society, 2007, ст. 752;

³⁸ [http://toldot.ru/tora/library/humash/dvarim/reey/;](http://toldot.ru/tora/library/humash/dvarim/reey/)

³⁹ კიკნაძე ზ. ხუთწიგნეულის თარგმანება, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2004, გვ. 333;

⁴⁰ „ზოგიერთი რამ რელიგიურ საკითხთა შესახებ“, „გული გონიერი“, თბილისი 2013, №5, გვ. 54;

⁴¹ სედერ – ებრაულად წესრიგს ნიშნავს, ანუ ისრაელიანთათვის ეს წესრიგის სუფრაა;

⁴² ებრაული ტრადიციის თანახმად, ყველანაირი საკვები თუ სასმელი, რისი მიღების უფლებაც გააჩნია იუდეველს, ქაშერად იწოდება. ამასთანავე, იმავე ტერმინით (ქაშერი) მოიხსენიება იუდაური რჯულის დამცავი ნებისმიერი ებრაელი;

⁴³ Armogacia მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარის ჯვაროსანთა ოჯახის წარმომადგენელია (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VIII, „საქ. სსრ მეცნ. აკადემია“, თბილისი, 1980, გვ. 86);

- ⁴⁴ <http://www.youtube.com/watch?v=BBiLx2HZa30>. შდრ. Am-schewitz, John Henry, The Passover Hagadah, London, 1920, p. 8.
- ⁴⁵ ძველად საბერძნეთში მიტრას უწოდებდნენ თავსაკრავს, თავზე წასაკვრელ ფართო ბაფთას, რომელიც ინასკვებოდა კეფაზე და გრძელი ბოლოებით ზურგზე ეშვებოდა. ქრისტიანობაში კი მიტრა სიმბოლურად მეფის მიტრას გაუთანაბრდა, რადგან ეპისკოპოსი მღვდელმსახურების დროს წარმოადგენს ზეცათა მეფეს – იესო ქრისტეს (გაბიძაშვილი ე. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2011, გვ. 66);
- ⁴⁶ <http://www.youtube.com/watch?v=BBiLx2HZa30>; შდრ. Am-schewitz, John Henry, The Passover Hagadah, London, 1920, p. 6.
- ⁴⁷ <http://www.youtube.com/watch?v=lmepndjmiy8>.
- ⁴⁸ პოლონსკი ფ. ფესახი, „მენორას ბიბლიოთეკა“, თბილისი, გვ. 17;
- ⁴⁹ <http://en.wikipedia.org/wiki/Afikoman>;
- ⁵⁰ აღნიშნული კითხვა თანამედროვეობაში ფორმალური შინაარსისაა, რადგან სუფრასთან ფეხმორთხმით იუდეველნი აღარ სხედან.
- ⁵¹ <http://www.youtube.com/watch?v=BBiLx2HZa30>; შდრ. Am-schewitz, John Henry, The Passover Hagadah, London, 1920, p. 17.
- ⁵² პოლონსკი ფ. ფესახი, „მენორას ბიბლიოთეკა“, თბილისი გვ. 29;
- ⁵³ <http://en.wikipedia.org/wiki/ayenu>;
- ⁵⁴ პოლონსკი ფ. ფესახი, „მენორას ბიბლიოთეკა“, თბილისი გვ. 45;
- ⁵⁵ დასახ. შრომა, გვ. 46;
- ⁵⁶ დასახ. შრომა, გვ. 53;
- ⁵⁷ <http://www.youtube.com/watch?v=lmepndjmiy8>;
- ⁵⁸ დასახ. საიტი;
- ⁵⁹ <http://www.youtube.com/watch?v=lmepndjmiy8>; შდრ. Am-schewitz, John Henry, The Passover Hagadah, London, 1920, p 9;
- ⁶⁰ ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, მათეს სახარების კომენტარები, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2005, გვ. 94;
- ⁶¹ Творения, Иоанна Златоуста, С.-Петербургъ, Т. 7, Издание С.-Петербургской духовной академій, 1901, ст. 809;

- ⁶² ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, მათეს სახარების კომენტარები, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2005, გვ. 236;
- ⁶³ Гладков Б. И, Толкование Евангелия, Свято-Троицкая Сергиева Лавра, 2011, ст. 639-640;
- ⁶⁴ <http://www.ensignmessage.com/josephofArimathea.html>;
- ⁶⁵ <http://en.wikipedia.org/wiki/Sanhedrin>;
- ⁶⁶ <http://fullhomelydivinity.org/Glastonbury%20traditions.htm>;
- ⁶⁷ Гладков Б. И, Толкование Евангелия, Свято-Троицкая Сергиева Лавра, 2011, ст. 640-641;
- ⁶⁸ Лопухин А.П, Толковая Библия; Институт перевода Библии, Стокгольм, к. III, т. VIII, петербургъ, 1911-1913, ст. 419-420;
- ⁶⁹ Гладков Б. И, Толкование Евангелия, Свято-Троицкая Сергиева Лавра, 2011, ст. 646;
- ⁷⁰ წმიდა იოანე ოქროპირი, განმარტება სახარებისათვის წმიდისა მოციქულისა და მახარებელისა მათესი, „ალილო“, თბილისი, 2009, გვ. 690;
- ⁷¹ ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, მათეს სახარების კომენტარები, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2005, გვ. 239;
- ⁷² Толкование на Четвероевангелие преподобново Ефрема Сирина, Сибирская Благозвонница, Москва, 2011, ст. 275;
- ⁷³ Лопухин А.П, Толковая Библия, Институт перевода Библии, Стокгольм, к. III, т. VIII, петербургъ, 1911-1913, ст. 414;
- ⁷⁴ <http://ni-ka.com.ua/index.php?Lev=glafiry2>;
- ⁷⁵ Творения святыхъ отцов в русском переводе издаваемыя при Московской духовной академій, Москва 1890, Том 57, Творения, святого Кирилла Александрийскаго, Ст. 223;
- ⁷⁶ Творения, Иоанна Златоуста, С.-Петербургъ, Т. 8, Издание С.-Петербургской духовной академій, 1902, ст. 927;
- ⁷⁷ Святой Ефрем Сирин, Творения, “Отчий дом,” Москва, Т.6, 1995, ст. 395;

⁷⁸ <http://ni-ka.com.ua/index.php?Lev=glafiry2>;

⁷⁹ ეგვიპტიდან გამოსვლის დროს ებრაელებს არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული ღვთისმსახურების სისტემა, რაც შემდგომ დადგინდა წინასწარმეტყველ მოსეს შუამავლობით, როდესაც უფლის მიერ აარონი და მისი ძენი გამოირჩნენ (გამ. 29:20);

⁸⁰ Святой Ефрем Сирий, Творения, "Отчий дом," Москва, Т.6, 1995, ст. 360;

⁸¹ რადგან შაბათი დგებოდა, არ სურდათ ებრაელებს ჯვარზე აღსრულებულნი გარდამოეხსნათ უქმობის დღეს, ამიტომ დააჩქარეს ავაზაკთა სიკვდილი წვივების გადამსხვრევით, ხოლო ქრისტე უკვე გარდაცვლილიყო ჯვარზე და მაინც, დასარწმუნებლად, მას შუბით გაუგმირეს გვერდი;

⁸² <http://ni-ka.com.ua/index.php?Lev=glafiry2>;

⁸³ <http://bible.org/article/passover-time-jesus>;

⁸⁴ Творения, Иоанна Златоуста, С.-Петербург, Т. 8, Издание С.-Петербургской духовной академий, 1902, ст. 969;

⁸⁵ <http://www.youtube.com/watch?v=We2EBebVafY>;

⁸⁶ <http://www.youtube.com/watch?v=BBiLx2HZa30>.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლიის განმარტებანი, Толковая Библия Лопухин А.П. ტ. III, „დარასი“, 2000;
2. გაბიძაშვილი ე. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2011;
3. გელოვანი ა. რელიგიურ ტერმინთა ლექსიკონი, თბილისი, 1990;
4. „ზოგიერთი რამ რელიგიურ საკითხთა შესახებ“, „გული გონიერი“, თბილისი, 2013, №5;
5. კიკნაძე ზ. ხუთწიგნეულის თარგმანება, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამომცემა, თბილისი, 2004;
6. მოსეს ხუთი წიგნის განმარტება, წილკნისა და დუშეთის ეპარქიის გამომცემა, თბილისი, 2003;
7. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, მათეს სახარების კომენტარები, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2005;

8. პოლონსკი ფ. ფესახი, „მენორას ბიბლიოთეკა“, თბილისი;

9. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I-II, „მერანი“, თბილისი, 1993;

10. ფლავიოსი ი. მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელისსიტყუაობისანი, ტ. I, „მეცნიერება“, თბილისი, 1987;

11. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, VIII, „საქ. სსრ მეცნ. აკადემია“, თბილისი, 1980;

12. წმიდა იოანე ოქროპირი, განმარტება სახარებისათვის წმიდისა მოციქულისა და მახარებელისა მათესი, „ალილო“, თბილისი, 2009;

13. ჭელიძე ე. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2008;

14. Гладков Б. И. Толкование Евангелия, Свято-Троицкая Сергиева Лавра, 2011;

15. Евхаристия, Профессор Архимандрит Киприан (Керн), изд. Храм свв. Космы и Дамиана Москва, 2001;

16. Лопухин А.П. Толковая Библия, Институт перевода Библии, Стокгольм, к. I, т. I, Петербург, 1904-1913;

17. Лопухин А.П. Толковая Библия, Институт перевода Библии, Стокгольм, к. III, т. VIII, Петербург, 1911-1913;

18. Мэтью Г. Толкование Книг Ветхого Завета, utch Reformed Tract Society, 2007;

19. Святой Ефрем Сирий, Творения, „Отчий дом,“ Москва, Т.6, 1995;

20. Творения, Иоанна Златоуста, С.-Петербург, Т. 7, Издание С.-Петербургской духовной академий, 1901;

21. Творения, Иоанна Златоуста, С.-Петербург, Т. 8, Издание С.-Петербургской духовной академий, 1902;

22. Творения святыхъ отцов в русском переводе издаваемыя при Московской духовной академий, Москва 1890, Том 57, Творения, святого Кирилла Александрийскаго;

23. Толкование ветхозаветных книг от книги Бытие по книгу Руть/Библейская миссия, CEO, 1992;

24. Amschewitz, John Henry, The Passover Hagadah, London, 1920;

25. Khodadi, Keith Elijah, The Passover in the time of Christ, London, 1909.

სარჩევი

წინათქმა	3
შესავალი	4
პასექის ეტიმოლოგია	6
„პასექის“ ტერმინოლოგიური ექვივალენტები	
წმინდა წერილის ქართულ რედაქციებში	9
რატომ და რისთვის დაარსდა პასექი	11
პასექის აღსრულების წესი (პრაქტიკული მხარე)	16
პასექის აღსრულების ისტორიული განვითარება	22
პასექის აღსრულების წესი თანამედროვე ეპოქაში	33
მაცხოვრის მიერ აღსრულებული პასექი	44
პასექთან დაკავშირებული სიმბოლოები და მათი	
ეგზეგეზა	55
დასკვნა	63
შენიშვნები	64
გამოყენებული ლიტერატურა	70



წიგნი დაიბეჭდა

საქართველოს საბატონიარქოს სტამბაში

შ.პ.ს. „ვეკოგრაფიკა“

ტელ: 591 81-87-98